# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 9 მარტი 2002 №40 (1562) · ფასი 50 თეთრი


საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 13 ლიგა
პირველი ეტაპი

20 ტური

## შუშაკი დინამოს სახელს იფიცებს, ძოძუაშვილი სიბრძნეს



ქართული ჩემპიონატის მორიგი ტური და დიდი დაპირისპირება — ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „დინამო". ასეა, „ტორპედო" — „დინამო" თუ „დინამო" — „ტორპედო" ჩვენთვის დერბიცაა, ტურის ცენტრალური მატჩიც და დიდი დაპირისპირებაც.

ქუთაისის „ტორპედოზე" გამოჩნდება ივო შუშაკის „დინამოს" ვაჟკაცობა, აგრეთვე რევაზ ძოძუაშვილის სიბრძნეც, რომლითაც მან ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრის შემდეგ დაიკვეხნა.

„ტორპედო" ის გუნდია, „დინამოს" ათწლიანი ბატონობა რომ შეაჩერა და ახლაც ჩემპიონობისთვის იბრძვის. ივო შუშაკმა რევაზ ძოძუაშვილის ფანდებისა და ქუთაისელი ფანებისა არა იცის რა, მაგრამ „დინამოს" სახელს როგორ უნდა გაუფრთხილდეს, ამის ცოდნა ნამდვილად მართებს.

ქუთათურთა მსგავსად არასპორტულ საქციელში დადანაშაულებულ ფოთის „კოლხეთს" ასეთ ბრალდებაზე პრეტენზიები აქვს, ეგ კი არა, ჩემპიონატის დატოვებითაც კი დაიმუქრა, თუმცა ხვალ „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს — ჯანი კარნევალის ვეტერინარული რედებიუტი მართლაც საინტერესოა.

თავისი გასჭირვებიათ ქვეექვსეულში ჩასარჩენად განწირულთ. „გურია" და „სამგურალი" შინ დაუხვდებიან მეტოქეებს. ბოლნისის „სიონიც" „თეიმურაზ სტეფანიაზე" უმასპინძლებს „ბათუმს" და, ვინძლო, ალა-ფანობით შეგულიანებულმა მომძლავრებულ ზღვისპირელებს ქვემო ქართლში სამი ქულა დაატოვებინოს.

იხილეთ მესამე გვერდი



## ტორპედო VS დინამო

# დერბია? დონეა!

## ლაციო — რომა, რეინჯერსი — სელტიკი...

უქმეებზე შინაური ჩემპიონატის მატჩები რომ ელის, ქომაგი კი მაინც უცხოთა პირველობების ამბავს კითხულობს, ამას ერთადერთი ახსნა აქვს — დონე. ოღონდ ამის გარჩევას ახლა ნუ შევუდგებით, რაკი ბევრჯერ გარჩეულა და, საერთოდაც, ქვემოთ სხვა რამის თქმა გვსურს.

ის ჩემპიონატები რომ ნაღდი დონეა, ნურც ამის მტკიცებას მოვყვებით და ამ უქმეებზე ისე დაემთხვა, სუპერდონე თამაშები იქნება.

მთავარი ამბები იტალიაშია. მოგეხსენებათ, სერია A-ში რომაული დერბისას ტურის სხვა მატჩები ფერმკრთალდება, მაგრამ ამჯერად იტალიელებს კალენდარი ისე ეშმაკურად შეუდგენიათ და სატურნირო ვითარებაც ისეთია, მილანის „სან სიროზე" მეტი თუ არა, ნაკლები თამაში არ იქნება. აბა, ლიდერი „ინტერი" მეორეადგილოსან „იუვენტუსს" რომ ხვდება, ერთი ქულა აშორებთ, ვიერი საუკეთესო ფორმაშია, ტურინელთა დამრიგებელ მარჩელო ლიპის თავის დროზე „ინტერიდან" პანღური რომ ჰკრეს და დაბოლმილია, უკეთესი თამაში რა უნდა ნახო?! რა და, „ლაციო" — „რომა", თუმცა ეს გემოვნების ამბავია და გემოვნებაზე კი ნუ ვიდავებთ. მთავარია, რომ ამ მატჩების მნიშვნელობა და სიდიადე საკამათო არ არის.

პრემიერლიგაში ტური არ არის, მაგრამ განა სანახავ-საქომაგოც არაფერია? ინებეთ, სათასო მატჩებში „ნიუკასლი" მასპინძლობს „არსენალს", ხოლო „ტოტენჰემი" დაუხვდება „ჩელსის". და თუ ნებისმიერი დონის ორი ინგლისური გუნდის თამაში გინახავთ, გეცოდინებათ, რომ თამაში ყოველთვის ბრძოლაა და ასეთ ბობოლათა შერკინებისას, ერთმანეთის ბოლმა წლობით რომ დაგროვებიათ, ბრძოლა მით უფრო ფიცხი იქნება.

რაიმეს გადაჭრით მტკიცება, საზოგადოდ, არ შეიძლება, თუმცა არა, თამამად ვიტყვით, რომ ამ სეზონში „რეინჯერსი" „სელტიკს" ვერ დაეწევა და ამით რა, მორიგი გლაზგოური დერბი დერბი არ იქნება? ესენი კვირას თამაშობენ და სატურნირო ვითარების მიუხედავად, არც თავს დაზოგავენ, არც მეტოქეს დაინდობენ — გლაზგოურ დერბის თავისი ისტორია აქვს.

დერბია მიუნხენშიც და, თუ იქაურები სხვადასხვა წონისანი არიან, არაფერს ნიშნავს — დერბისას პროგნოზს მოვერიდოთ.

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები





ხვალინდელი „ლაციო" — „რომა" პირველი წრის „რომა" — „ლაციოზე" მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება. ცნობილი მოდელი საბრინა ფერილი კვლავაც „რომას" უქომაგებს

# კოლხეთი ჩემპიონატის დატოვებით იმუქრება

## ქოიავამ ფედერაციაში ტერორისტები იპოვა



გაგიკო კილილაძის ფოტო

ფედერაციის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება – „ტორპედოს“ 10 000 ლარით დაჯარიმება, „კოლხეთის“ სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია და ქვედა ლიგაში მისი შესაძლო დაქვეითება – ფოთელებმა ჟურნალისტებისგან შეიტყვეს. „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა გუშინ თავად დაგვიკავშირდა. კოლხები უკმაყოფილონი არიან ზემოთხსენებული განაჩენით. რას ფიქრობენ ისინი ამის თაობაზე, ფოთელთა ვიცე-პრეზიდენტის ამ ინტერვიუსგან შეიტყობთ

— ფედერაციამ გაუგებარი და ალოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ვერ გამიგია, რის საფუძველზე დასაჯეს „ტორპედო“ ან ეს პირველ ლიგაში შესაძლო დაქვეითება რას ნიშნავს. ვერაფერი დაამტკიცეს და, ფაქტობრივად, არაფრისთვის დაგვსაჯეს.

**— საგანგებო კომიტეტზე ითქვა, „ტორპედო“ არასპორტული თამაშისთვის დაისაჯა, არ იბრძოლაო...**

— ვერ გავიგე, რას ნიშნავს „ტორპედომ“ არ იბრძოლა, არ ითამაშა. კი, ბატონო, გეთანხმებით, მატჩის მიწურულს გატანილი გოლი მართლაც საეჭვო იყო. მსაჯმაც ვერ გაარკვია, გადაკვეთა თუ არა კარის ხაზი ბურთმა, მაგრამ, მთელი სინდისით და პატიოსნებით ვაცხადებ, მატჩი გარიგებული არ ყოფილა.

**— თქვენი აზრით რატომ მიიღო ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება?**

— ვფიქრობ, ფედერაცია და მისი საგანგებო კომიტეტი ვიღაცის გავლენის ქვეშ არიან და მის მითითებებს ასრულებენ. „კოლხეთს“ ატერორებენ, ფაქტობრივად, შანტაჟს გვიწყობენ, მოვიგებთ? ეჭვი აქვთ, როგორ მოიგეთო, თუ წავაგეთ და თამაში რატომ გაყიდეთო. ასე ნამდვილად არ შეიძლება. შარშან „ბათუმთან“ რომ დავმარცხდით, თამაში ნებით დათმეთო, როგორ ფიქრობთ, „ბათუმს“ რატომ დავუწვებოდით. „დინამოსთან“ 0:4 რომ წავაგეთ, აქაც გარიგების სუნი ტრიალებდაო, არადა, „დინამომ“ მაგრად გადაგვირბინა. „მერანთან“ თბილისში 4:2 რომ მოვიგეთ, სამი ქულაც ჩამოგვაკლეს.

**— „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ მატჩის ყბადაღებული ფირი ახლაც არსებობს?**

— დიახ, არსებობს. ფირი არავის უნახავს. ანატოლი მილჩენკო რომ ამბობს, კასეტა მოვითხოვე და დამიმალესო, ვის ჰკითხა? არც ჩემთვის, არც ხაინდრავასთვის, არც ფილიასთვის და არც ოპერატორისთვის არ უკითხავს. მერე არც არავინ დაინტერესებულა.

**— ფედერაციამ მიღებული გადაწყვეტილება თავად არ გაცნობათ...**

— პრესისგან, გავიგე ამის შესახებ. ფედერაცია კი გვაშინებს, თუ გარიგებაში კვლავაც იქნებით შემჩნეული, ავტომატურად ქვედა ლიგაში დაგაქვეითებთო. ნუ შეწუხდებიან, ჩვენ ახლა იმაზე ვფიქრობთ, ღირს კი ჩემპიონატში მონაწილეობა? თუ წინასწარ ფსიქოლოგიურ წნეხში მომაქციე, რა აზრი აქვს თამაშს. ერთიცაა, გუნდზე დახარჯული თანხა, ფაქტობრივად, წყალშია გადაყრილი. ხარჯი კი დიდია, წელიწადში სულ ცოტა, მილიონი ლარი ხმარდება „კოლხეთს“. თუ ასე გაგრძელდა, ჯობს, ის ფული ბავშვთა ფეხბურთს, ან სულ სხვა სფეროს მოვახმაროთ და არა დატერორებულ გუნდს. რა აზრი აქვს ასეთ ჩემპიონატს. ფედერაციას არ სურს, პერიფერიის წარმომადგენლებმა ხეირი ნახოს.

ასე კი ნამდვილად არ შეიძლება, ჩვენდამი დამოკიდებულება თუ არ შეიცვალა, ფოთის „კოლხეთი“ დატოვებს ეროვნულ ჩემპიონატს, ეს კი ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთოს არაფერს მოიტანს.

**გიორგი გუგაძიძე**

საქართველოს ჰყოლია ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელი, რომლებიც ჩვენს შორის აღარ არიან. ისინი დიდი პატივით გავვიცილებია სამუდამო სასუფევლისკენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი, დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი ლევან (გოჭო) ჟორჟანია.

კოლორიტული პიროვნება, რომელსაც დავიწყება არ უწერია. იგი დააკლდა თბილისს და თავის დიდ სამეგობროს.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დიდი სევდა-ნაღველი, მოგონებები, სავსე და ლამაზი ცხოვრება, ზღვა სიყვარული.

მუდამ მხიარული, უწყინარი, მართალი და კეთილი, დიდი სიყვარულის მატარებელი, მიმტევებელი, არაჩვეულებრივი იუმორით სავსე. მისი იუმორი არასოდეს ზღვარს არ სცილდებოდა, გულს უთბობდა დიდს და პატარას, სხვებთან ვითომ თამამი, მაგრამ მორიდებული, შვილებთან მოკრძალებული. ყველგან სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა. ერთი შეხვედრის შემდეგაც კი დაუვიწყარი და ლამაზი მოსაგონარი ხდებოდა ყველასთვის.

მაგრამ... მძიმე ავადმყოფობამ... 40 დღე გავიდა და უკვე გვენატრები და ენატრები ყველას ის მოუსვენარი, ლაღი, ვერცხლისწყალივით მოციმციმე, გულღია, მომღიმარი, სიცოცხლით სავსე, ჩვენი გოჭო, ჩვენი ლეო ჟორჟანია.



შენი მოგონება არასოდეს წაიშლება და მარადიული იქნება ჩვენს გულებში.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. „წმიდათა თანა, სადა იგი არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი“.

**ვეტერან ფეხბურთელთა და ვეტერან მოლვინეთა ჯგუფი**

# გოჩა ტყებუჩავამ გურამ რუხაძეს სიტყვა არ შეარჩინა



გაგიკო კილილაძის ფოტო

*გუშინწინდელ „სარბიელში“ „ვიტ ჯორჯიადან“ პირველივე ოფიციალური თამაშის შემდეგ წასული მთავარი მწვრთნელის გოჩა ტყებუჩავას ინტერვიუ გამოქვეყნდა და კლუბის მესვეურთა პასუხმაც არ დაახანა.*

*თუმც გოჩა ტყებუჩავა არ თმობს, ბოლომდე ცდილობს თავისი პოზიცია დაიცვას. ახალგაზრდა მწვრთნელი „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ ახსენებს თავს. მაშ ასე, გოჩა ტყებუჩავას პასუხის პასუხი*

— მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან რომ მივედი, მას არაფრით არ გავუმხნევებივარ, თუმც საპირისპიროს კი ამბობს. ჩვენი საუბარი სულ რაღაც სამ წუთში დამთავრდა, გამხნევებას კი აშკარად მეტი დრო სჭირდება.

— რაც შეეხება ხელფას-პრემიებს, ამაზე მე არ დამიჩივლია, მათ შორის, არც „სარბიელთან“ ინტერვიუში. უბრალოდ ვთქვი, რომ ფეხბურთელთა პირობების გაუმჯობესებაზე ყველა კლუბმა უნდა იზრუნოს-მეთქი.

— როცა „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობას ვიწყებდი, მცხეთის სტადიონი რა მდგომარეობაში იყო, ნამდვილად არ ვიცოდი, მოგვიანებით გავიგე ეს და კლუბის ხელმძღვანელებს მისი კეთილმოწყობა ვთხოვე. მაგრამ, როცა ანთალიურ შეკრებიდან დავბრუნდით, არაფერი იყო გაკეთებული, მხოლოდ ბადეები აღმართეს კარის უკან — არც წყალი, არც დენი, არც გათბობა. ყველაფერი ეს ვერც „ტორპედოსთან“ მატჩისთვის მოგვარდა.

— კლუბმა მართლა გამომიყო მანქანა, მაგრამ ის ჩემი საკუთრება კი არა, კლუბის იყო, თუმც კლუბი ბენზინით უზრუნველმყოფდა.

— „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტის ბრალდება, თითქოს მე რუმინეთს „ასტრასთან“ 0:5 დამარცხების მიჩქმალვას ვცდილობდი, ტყუილია — საქართველოდან არავის დაურეკავს და მე თვითონ იქით ხომ არ დავრეკავდი.

— გურამ რუხაძე უკმაყოფილოა იმით, თუ რატომ ვითამაშე საკონტროლო მატჩის პირველი ტაიმი ჩიტის „ლოკომოტივთან“. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ტრავმირებული იყო, ზოგიც დავსაჯე თეორიულ მეცადინეობაზე დაგვიანების გამო, დავაჯარიმე კიდეც და ამიტომაც მხოლოდ მეორე ტაიმში შევუშვი მინდორზე. ამის გამო მე მხოლოდ პირველი ტაიმი ვითამაშე, მაგრამ ამით რა? ეს ხომ საკონტროლო მატჩი იყო. თავის დროზე, როცა თბილისის „დინამოს“ ვწვრთნიდი, იქაც გვითამაშია მე და კლუბის პრეზიდენტ რევაზ არველაძეს საკონტროლო შეხვედრაში, მაგრამ ამით რამე გავაფუჭეთ?

— ჩემსა და „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს შორის არანაირი ხიდი არ ჩატეხილა. ანდა რა ლოგიკით უნდა ჩატეხილიყო ხიდი, შეუძლია ეს ახსნას და დაასაბუთოს კლუბის პრეზიდენტმა?

— გურამ რუხაძე რომ ამბობს ჩემზე, იტალიაში, სან რემოს მახლობლად შეკრებაზე უარი თქვა, არადა, სერია A-ს გუნდები სპარინგ-მატჩებს გვთავაზობდნენო, შეუძლია ვინმეს ამიხსნას, როგორ უნდა ეთამაშნათ შვებულებიდან ახალდაბრუნებული, მოუმზადებელი „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები სერია A-ს გუნდებს? მეც ამიტომ გადავწყვიტე, რომ გუნდი ჯერ ბაკურიანში მომზადებულიყო ფიზიკურად და მერე გაევლო ისეთი შეკრება, სადაც საკონტროლო მატჩებს გამართავდა.

— კლუბის პრეზიდენტი ამბობს, ანთალიურ სასტუმროში მოსკოვის „სპარტაკი“ და სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი გუნდები ჩერდებოდნენო, მაგრამ იმას კი ველარ საზღვრავს, რომ „ვიტ ჯორჯიასა“ და „სპარტაკის“ შედარება არ შეიძლება. „სპარტაკის“ ფეხბურთელებს საქმისადმი მიდგომა და პროფესიონალიზმი ხომ სულ სხვაა.

— გურამ რუხაძე იმასაც ამბობს ჩემზე, მხოლოდ რჩევებს ვაძლევდით, თორემ მის კომპეტენციაში არავინ ჩარეულაო, მაგრამ, მთავარი მწვრთნელისთვის რჩევის მიცემის უფლება მხოლოდ მწვრთნელებს აქვთ და მეტი არავის.

— გურამ რუხაძემ წამოაყენა ბრალდება — ტყებუჩავა ქაოსური და არაორგანიზებული მოსამზადებელი ეტაპის გამართლებას ცდილობსო. ჰოდა, ახლა მე მოვითხოვ კლუბის პრეზიდენტისგან, რომ ფაქტებით დაასაბუთოს ეს ბრალდება — თუ რატომ იყო შეკრება ქაოსური და არაორგანიზებული.

— კლუბის დირექტორატის წევრი მალხაზ კაკაურიძე რომ ამბობს, ანთალიაში კარგი სავარჯიშო მოედანი იყოო, თვითონ მითხრა იქ ყოფნისას, მინდორი ორი წლის წინ კი კარგი იყო, მაგრამ ახლა არ ვარგაო. კაკაურიძე იმასაც ამბობს, ანთალიაში „ვიტ ჯორჯიას“ განკარგულებაში საუნაც იყოო, მაგრამ, რომელ საუნაზეა ლაპარაკი? იმ საუნაზე, სადაც შიშველი ქალები შემორბოდნენ?

— კიდევ ერთხელ დავუბრუნდები პირობების თემას. „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს დავპირდი, თუ რომელიმე ევროტურნირის საგზურს მოიპოვებთ, კლუბის ხელმძღვანელობას თქვენთვის პირობების გაუმჯობესებას მოვთხოვ და თუ ამას არ დაყაბულდებიან, მაშინ გუნდიდან წავალ-მეთქი.

— ბოლო ვარჯიშზე მხოლოდ 8 ფეხბურთელი იმიტომ ვავარჯიშე, რომ ზოგიერთ მათგანს იმ დღეს, დილით საკონტროლო მატჩში არ უთამაშიათ, ზოგმაც მხოლოდ მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში. ტყუილია ის, თითქოს 17 ფეხბურთელი ტრავმირებული იყო.

— თეორიული მეცადინეობას კი არა, გუნდის კრებას ვესწრებოდით დირექტორატის წევრებიო, ამბობს დავით ფირცხალაშვილი. მაგრამ ის კრება კი არა, თამაშის გარჩევა იყო, რაც იგივე თეორიული მეცადინეობაა.

— „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობას იმის გამო დავთანხმდი, რომ საქმის კეთება მწყუროდა, თორემ მე არავინ შემიწუხებია, პირიქით, ჩემთან სახლში მოვიდა ფირცხალაიშვილი, რათა დავეყოლიებინე „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობაზე.

— რაც შეეხება ჩემს კვალიფიკაციას, მინდა „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელებს შევახსენო, რომ ჩემმა გაწვრთნილმა თბილისის „დინამომ“ შარშან ბრინჯაო მოიპოვა. და საერთოდ, რომელი საფეხბურთო სპეციალისტი დავით ფირცხალაიშვილია, ჩემი კვალიფიკაცია რომ შეაფასოს.

— დაბოლოს, გურამ რუხაძე რომ ამბობს, „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ ტყებუჩავას გამხნევება მინდოდაო — ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ ჯანი კარნევალი იტალიიდან ჩემი წასვლიდან რამდენიმე დღეში ჩამოიყვანეს, ყველაფრის მთქმელია.

**დავით თავართქილაძე**

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVI ტური

ვაინფურტი 3:1 უნტერჰახინგი
ვალდჰოფი 1:2 ბოხუმი
დუისბურგი 2:0 კარლსრუე

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXXIX ტური

ბრედფორდი 0:2 მანჩესტერ სიტი

## იტალია

სერია B
XXVII ტური

ტერნანა 0:0 კომო

## პოლონეთი

პლეი ოფი. IV ტური

პოგონი 2:2 ლეგია

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXVII ტური

უტრეხტი 4:2 სპარტა

მეორე დივიზიონი
XXVI ტური

ეინდჰოვენი 1:0 დორდრეხტი
მაასტრიხტი 0:1 ვენლო
ჰელმონდი 2:1 ვეენდამი
ზვოლე 1:0 ჰაარლემი
ექსელსიორი 3:0 კამბური

## პორტუგალია

პირველი ლიგა
XXVI ტური

ბელენენსეში 3:0 პორტუ

## რუსეთი

პრემიერლიგა. I ტური

ლოკომოტივი 1:0 ალანია
შინიკი 1:3 სატურნი
სპარტაკი 0:0 როსტსელმაში
კრილია სოვეტოვი 1:1 ურალანი

## ბელგია

პირველი დივიზიონი
XXVI ტური

გენკი 2:1 გენტი
ლუვენი 2:1 შარლერუა

## ჩეხეთი

XXI ტური

ბრნო 0:0 სლავია

## თურქეთი

XXV ტური

ანკარაგიუჯიუ 1:1 დიარბაკირი

საქართველოს უმაღლესი ლიგის 13 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი — 20 ტური

# ბრძოლა სიტყვის უკანასკნელ ბგერამდე


„ტორპედო" — „დინამო" მეოცე ტურში გამორჩეული მატჩია

იშვიათად, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატსაც გამოერევა ისეთი მატჩები, ქომაგს დაუფიქრებლად რომ მიიყვანს სტადიონზე. აბა, ქუთაისში „ტორპედო" — „დინამოს" გულშემატკივარი მოაკლდება? ფოთში „კოლხეთისთვის" ზეექვსეულში მოხვედრის ბედ-იღბალი წყდება და „ფაზისი" მაყურებელს მოისაკლისებს? თანაც მეტოქედ უშუალო კონკურენტი და მასპინძლებისთვის უხერხული მოწინაალმდეგე „ვიტ ჯორჯიაა" იტალიელი თავკაცით, ჯანი კარნევალი ორი დღეა, რაც საქართველოს და ვეტერინარებს დაუბრუნდა. „ალა და ფანები" — ტყუილუბრალოდ ხომ არ ნაუწერიათ „თემურ სტეფანიაზე" სადაც ხვალ „ბათუმია" სტუმარი. ბოლნისელთა და ბათუმელთა დაპირისპირებასაც თავისებური ხიბლი და დაძაბულობა ახლავს. ამიტომ, ალბათ, სავსე იქნება 3-ათასიანი სტადიონი. წყალტუბოში „საომრად" მიდის ფინანსურ სიდუხჭირეს გადარჩენილი „მერანი". მასპინძელთათვის ყველა ქულა ოქროდ ფასობს, თუმც სტუმრისთვისაც არანაკლები მნიშვნელობა მინიჭებია.

ლიხს აქეთ „ლოკომოტივი" ეცდება სამი ქულის დაბევებას, ლიხს იქით ხავსსჩაჭიდებულ „გურიასთან" მოპაექრე „მეტალურგი".

ერთი სიტყვით, ხვალ მეცამეტე ეროვნულის მეოცე ტურის მატჩებია. ზემოთ ჩვენი გითხარით, ქვემოთ კი გუნდების მწვრთნელთა მატჩისწინა მოსაზრებებს გაეცანით.

ფოთი. ფაზისი. 10 მარტი. 15.00 საათი

## კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; ნ. კოკოჩაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე
დისკვალიფიცირებული: ე. გვასალია (კოლხეთი); დ. დოლიძე, მერლანი (ვიტ ჯორჯია)

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი*

პრინციპული და გადამწყვეტი მატჩი გველის, სწორედ ეს შეხვედრა გაარკვევს, რომელი მოვხვდებით ექვსეულში. ამიტომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. სამწუხაროდ, ძირითადის ოთხი ფეხბურთელი მაკლია — კახა გოროზია ტრავმირებულია, მამუკა გვასალია და გიორგი კრასოვსკი ავად არიან, ელდარ გვასალია კი ზედმეტი ყვითლების გამო დისკვალიფიცირებულია. ვინც ჩამოვთვალე ესენი „კოლხეთისთვის" დიდი ძალაა. ვალტერ გურუამ კი, იცით, დაგვტოვა.

ერთი სიტყვით, უკანდასახევი გზა არ გვაქვს. ფაქტობრივად, 13 ფეხბურთელის ამარა დავრჩით, ამიტომ ნუ გაიკვირვებთ, თუ „ვიტ ჯორჯიასთან" ძირითადში ერთმა-ორმა ფარმკლუბელმაც ითამაშოს.

მეტოქეზე რა უნდა ვთქვა. კარგი გუნდია, ჯანი კარნევალი მათთვის უცხო კაცი არაა. ვეტერინარებს უდიდეს პატივს ვცემ, თუმცა მოგება ჩვენ უფრო გვჭირდება.

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი*

დღეს სერიოზულად პირველად ვავარჯიშე გუნდი. მოთამაშეები ხალისიანად გამოიყურებოდნენ და ინტენსიური წვრთნაც გამოგვივიდა. ფოთში თამაშის წინა დღეს 18 ფეხბურთელით გავემგზავრებით. ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო დიღმელაშვილი, კობიაშვილი, მერლანი და დოლიძე ვერ დაგვეხმარებიან. ეს სერიოზული დანაკლისია, თუმც ვიცი, რომ პრობლემები ჩემს მოწინააღმდეგე კოლეგასაც მოსძალებია, ამიტომ „კოლხეთს" მაინცდამაინც დიდი უპირატესობა არა აქვს.


სოსო ფილია და ჯანი კარნევალი

თბილისი. ლოკომოტივი. 10 მარტი. 15.00 საათი

## ლოკომოტივი — გორდა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. კოკაია
დისკვალიფიცირებული: ალადაშვილი, ცქიფურიშვილი (გორდა); ჭიჭვეიშვილი (ლოკომოტივი)

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 10 მარტი. 15.00 საათი

## გურია — მეტალურგი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ქუთაისი. ტორპედო. 10 მარტი. 15.00 საათი

## ტორპედო — დინამო

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

*რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს" მწვრთნელი*

— შანსებს აბსოლუტურად თანაბრად ვაფასებ. ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად სამი ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავს — ასათიანს, ხვადაგიანსა და აბრამიძეს ფეხი აწუხებთ და მეეჭვება, ითამაშონ. თანაც ხვადაგიანი და აბრამიძე ხომ მცველები არიან, „დინამოს" კი კარგი შემტევები ჰყავს. ძალიან ვფრთხილობთ, „დინამო" „სამგურალთან" მატჩისას საკმაოდ მოდუნებული მეჩვენა. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა გამოგვივა, შევეცდები, ტრავმირებულთ ღირსეული შემცვლელები მოვუძებნო.

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 10 მარტი. 15.00 საათი

## სიონი — ბათუმი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე, ა. მეშკოვი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: ისიანი (სიონი); არჩვაძე (ბათუმი)

*თემურ მახარაძე, „სიონის" მწვრთნელი*

ძნელი თამაში გველის. საკმაოდ რთული და სერიოზული მეტოქე გვყავს. გუნდში ტრავმირებული არავინაა. ყველა ჯანზეა. ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა, ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ქულები დავაგროვოთ. ბიჭები საბრძოლველად მზად არიან. მეტოქეს არაფერს დავუთმობთ, თუმც კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ „ბათუმი" საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეა. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. ვნახოთ რა გამოვა...

*ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი*

— „ბათუმი" ჩემი თავკაცობით ბოლნისში ჯერ არ დამარცხებულა და ვეცდებით, კვირას ქულა მაინც მოვიპოვოთ. „სიონი" მომძლავრდა და ვფიქრობ, თემურ მახარაძეს საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. ჩვენ კი შალვა ხუჯაძე დაგვიბრუნდა და შუა ხაზში პრობლემები ნაკლებად გვექნება. ბოლნისში უძლიერესი შემადგენლობით მივემგზავრებით, არავინ დაგვაკლდება. სტუმრად თამაშებისთვის რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი გვაქვს დამუშავებული და მათგან რომელს გამოვიყენებთ, ხვალ გადავწყვეტთ. ისე, შეიძლება, მეტოქეს სიურპრიზიც შევთავაზოთ. „ლოკომოტივთან" თასზე შინ დამარცხების შემდეგ გუნდის კრება მოვიწვიე და ბიჭებს საკმაოდ მკაცრად ვესაუბრე. მოედანზე სეირნობას არავის ვაპატიებ. ბოლნისში ძალიან მძიმე მატჩი გველის. იმედია, ფეხბურთელები „ლოკომოტივთან" დაშვებულ შეცდომებს გამოასწორებენ და თავს არ დაზოგავენ.

წყალტუბო. 26 მაისი. 10 მარტი. 15.00 საათი

## სამგურალი — მერანი

მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: ლონდაძე (სამგურალი); ბოლქვაძე, გუჯაბიძე (მერანი)

*ოთარ გაბელია, „მერანის" მთავარი მწვრთნელი*

ჩვენთვის უპრინციპულესი მატჩია და წყალტუბოშიც „საომრად" მივდივართ. ვეცდებით, თამაში მოვიგოთ.

მართალია, ფინანსური პრობლემები თითქმის მოგვარდა, მაგრამ ახლა ტრავმები მოგვეძალა. დევიძე ვერ ვარჯიშობს, ბაჯელიძეს ფეხი ისევ აწუხებს, კოშკაძე სიცხიანია. ამათ დისკვალიფიცირებული ბოლქვაძე და გუჯაბიძე დაამატეთ და თითქმის განახევრებული შემადგენლობით მივდივართ წყალტუბოში. ბედად, გოგიტაძე შემოგვემატა.

# პალატა მინის აკონტროლებს

**სპორტკომპლექს** „ქართუხალაში" საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი გახურებულა მინი-ფეხბურთში.

ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობს და სამ წრედ ტარდება. პირველი წრე შარშან შემოდგომაზე გაიმართა, ხოლო 28 თებერვლიდან 8 მარტამდე გუნდები მეორედ წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მომდევნო ეტაპის გამართვას კი ორგანიზატორები აპრილის ბოლოს აპირებენ.

ჩემპიონატს კონტროლის პალატა ლიდერობს, რომლის რიგებშიც წარსულში ისეთი ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ, გოჩა ჩიქოვანი და გრიგოლ ცაავა რომ არიან. კონტროლიორებს ოთხი ქულით ჩამორჩება საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი ბაღდათის „ბაასი".

გუშინ გუნდებმა მეორე წრის ბოლო ტურის მატჩები გამართეს:

**მარდი (ბათუმი) — თსუ 8:8, ლოკომოტივი (თბილისი) — ბაასი (ბაღდათი) 6:9, სპორტის აკადემია — ქორები (თბილისი) 2:3, კონტროლის პალატა — თდუ აჭარა 17:2.**

აპრილის ბოლომდე გუნდები შეისვენებენ, მერე კი მესამე წრეც ჩატარდება, რის შემდეგაც საუკეთესო ოთხეული პლეი ოფში ითამაშებს. ხოლო მესამე წრის გამარჯვებული ავტომატურად საქართველოს თასის მფლობელიც გახდება.

ბომბარდირთა დავაში 46 გოლით თსუ-ელი ლევან ათანელიშვილი დიდი უპირატესობით ლიდერობს.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ ხვალ საქართველოს მინიფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ბაქოს ესტუმრება, სადაც საერთაშორისო ტურნირზეა მიწვეული. ტურნირი 12-18 მარტს გაიმართება და საქართველოს ნაკრების გარდა აზერბაიჯანული, რუსული, ირანული და თურქული გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ეროვნულ ჩემპიონატში კი საღლეისოდ ასეთი ვითარებაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კონტრ. პალატა | 14 | 12 | 1 | 1 | 101:39 | 37 |
| ბაასი | 14 | 10 | 3 | 1 | 71:50 | 33 |
| მარდი | 14 | 7 | 3 | 3 | 68:67 | 27 |
| თდუ აჭარა | 14 | 6 | 1 | 7 | 71:87 | 19 |
| თსუ | 14 | 4 | 2 | 8 | 87:96 | 14 |
| ლოკომოტივი | 14 | 4 | 1 | 9 | 54:81 | 13 |
| ქორები | 14 | 3 | 2 | 9 | 71:79 | 11 |
| აკადემია | 14 | 2 | 1 | 11 | 55:90 | 7 |

**კახა ზალამბერიძე**

ვაცხადებთ კონკურსს

საფეხბურთო კლუბის ემბლემისა და ფორმის დიზაინის შესაქმნელად. საუკეთესო ვარიანტის ავტორი დაჯილდოვდება

ფულადი პრემიით

კონკურსში სამონაწილეოდ გამოგვეხმაურეთ ტელეფონებზე:
39 00 98, 8 99 55 36 93

| უმაღლესი ლიგა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 19 | 15 | 2 | 2 | 47:11 | 36 | 47 | 9 | 8 | 1 | 0 | 26:5 | 21 | 25 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:6 | 15 | 22 |
| 2 | ლოკომოტივი | 19 | 13 | 3 | 3 | 34:10 | 24 | 42 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 22 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:5 | 11 | 20 |
| 3 | ბათუმი | 19 | 10 | 4 | 5 | 28:15 | 13 | 34 | 10 | 9 | 0 | 1 | 21:5 | 16 | 27 | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | -3 | 7 |
| 4 | მერანი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:25 | 7 | 32 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:7 | 13 | 22 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | -6 | 10 |
| 5 | დინამო | 19 | 9 | 4 | 6 | 32:18 | 14 | 31 | 10 | 4 | 4 | 2 | 21:11 | 10 | 16 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:7 | 4 | 15 |
| 6 | კოლხეთი | 19 | 9 | 4 | 6 | 28:26 | 2 | 31 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:11 | 10 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 9 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 19 | 7 | 6 | 6 | 27:26 | 1 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 7:10 | -3 | 14 | 9 | 4 | 1 | 4 | 20:16 | 4 | 13 |
| 8 | სიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 16:25 | -9 | 22 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 16 | 10 | 1 | 3 | 6 | 4:14 | -10 | 6 |
| 9 | გურია | 19 | 3 | 6 | 10 | 14:34 | -20 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 10 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:23 | -15 | 5 |
| 10 | გორდა | 19 | 3 | 4 | 12 | 16:35 | -19 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:16 | -6 | 10 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:19 | -13 | 3 |
| 11 | მეტალურგი | 19 | 2 | 7 | 10 | 10:34 | -24 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:14 | -8 | 9 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:20 | -16 | 4 |
| 12 | სამგურალი | 19 | 2 | 4 | 13 | 14:39 | -25 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 9 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:26 | -23 | 1 |

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 10 | წიწიშვაძე | კოლხეთი |
| | პოროშინი | ტორპედო |
| 9 | დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| | ქუთათელაძე | ტორპედო |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| 8 | აშვეთია | ტორპედო |
| | ბობოხიძე | დინამო |
| | გაგუა | მერანი |
| | დათვაძე | ლოკომოტივი |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

პაპუნა კედია

# ნუ იჩხუბებთ, ჟურნალისტებო!

**ნუთუ** ამ შაბათ-კვირას გადაწყდება სკუდეტოს ბედი? ალბათ, ასე პირდაპირ განცხადება არ შეიძლება, რადგან ამ შაბათ-კვირის მერე კიდევ რვა საფეხბურთო შაბათ-კვირა ელით იტალიის სტადიონებს, თუმცა ამ უქმეებზე ძალიან მნიშვნელოვანი თამაში რომ უნდა გაიმართოს, ფაქტია. ლაპარაკია „ინტერ" — „იუვენტუსზე", ხოლო რას ნიშნავს „ინტერი" — „იუვენტუსი", მათთვის, ვინც სერია A-ს თვალს ადევნებს და მათთვისაც, ვინც თვალს არ ადევნებს, მაგრამ ახლა ცხრილს თვალს გადაავლებს, ზედმეტსიტყვაობის გარეშეც ნათელია.

ამრიგად, დაწინაურებული სამი გუნდიდან ორი ერთმანეთს ხვდება, რაც წესით მესამეს, ჩვენს შემთხვევაში „რომას" უნდა ახარებდეს, მაგრამ თავად იტალიის ჩემპიონსაც ისეთი რთული თამაში ელის, რომ სასიხარულოდ არ სცალია — „სტადიო ოლიმპიკო" რომაული დერბის მოლოდინშია.

ჩვეულებრივ, როდესაც იტალიაში რომაული დერბია, სხვა თამაშების მნიშვნელობა ერთიორად მცირდება, ოღონდ ახლა გამონაკლისია. დღეს, სერია A-ს სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე ყურადღებას უფრო „სან სიროს" თამაში იპყრობს — „ინტერმა" „იუვენტუსთან" ერთქულიანი უპირატესობა უნდა შეინარჩუნოს.

მიმდინარე სეზონში „ინტერის" თავისებურება თვალსაჩინოა — „შავ-ლურჯები" ერთი ფეხბურთელის, ფორვარდ კრისტიან ვიერის ფორმაზე, მეტისმეტად არიან დამოკიდებულნი. მათ საბედნიეროდ ვიერი კარგად თამაშობს, 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 18 გოლი გაიტანა. ბუნებრივია, მის შემართებასა და იღბალზე იქნება დამოკიდებული „იუვენტუსთან" შეხვედრაც.

გეხსომებათ, რომ ვიერი შარშან ზაფხულს კინაღამ დაბრუნდა „იუვენტუსში". მას ლავიდ ტრეზეგეში უპირებდნენ გაცვლას და გარიგება ფაქტობრივად შემდგარიც იყო, მაგრამ ბოლოწამს „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ დაადო ვეტო და როგორც გაირკვა, ბრძნულადაც მოიქცა. თავის დროზე „ლაციოსგან" 49 მილიონ დოლარად ნაყიდი ვარსკვლავი მორატის გუნდში, როგორც მოგახსენეთ, მთავარი ფიგურაა.

მაგრამ გარიგების ჩაშლით მაინცდამაინც არც ტურინელები დაზარალებულან, რადგან ფეხბურთელი, რომლის გაცვლასაც ვიერიში აპირებდნენ, თავად გახლავთ სერია A-ს მატჩებში 17 გოლის გამტანი.

თუმცა, დღევანდელ შეხვედრაში ვინძლო ტრეზეგეზე მეტად ვიერის გაუმართლოს. საქმე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსის" მწვრთნელს, მარჩელო ლიპის დაცვის რეორგანიზაცია მოუწევს, ცენტრალური მცველები ჩირო ფერარა და პაოლო მონტერო ხომ ვერ ითამაშებენ, და შესაბამისად, ლილიან ტურამზეა შუაში გადაბარგებაცა და „ინტერის" მთავარი თავდამსხმელის ჩრდილში მოქცევაც.

საკუთრივ ლიპისაც აკავშირებს „ინტერთან" მოგონებები, თან ისეთი, რომ დღეს თუ მოიგებს სიამოვნებისგან ხელებსაც მოიფშვნეტს — 18 თვე წვრთნიდა „მაესტრო" მილანელ „შავ-ლურჯებს", რაც იმით დასრულდა, რომ 2000-01 წლების სეზონის პირველსავე შეხვედრაში „ინტერმა" „რეჯინასთან" წააგო და ის თანამდებობიდან მოხსნეს. თუ ის პერიოდი კარგად გახსოვთ, მანამდე „შავ-ლურჯებმა" ჩემპიონთა ლიგაში ვერ შეაღწიეს, რადგან წინასწარ ეტაპზე შვედური „ჰელსინგბორგისგან" იწვნიეს მარცხი.

ახლა კი რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე" გადავინაცვლოთ, სადაც ოქმის მიხედვით მასპინძელი „ლაციო" პრესლოჟაში ჟურნალისტთა ქცევის ახალი ინიციატივით გამოდის. კერძოდ, წლეულს ამ ერთობ დაქვეითებული კლუბის მოთხოვნით, ჟურნალისტებს აეკრძალათ თავიანთი საყვარელი გუნდის საქომაგოდ რაიმე გარეგნული ნიშნის გამოყენება. საქმე ის გახლავთ, რომ უწინდელი დერბების დროს, თურმე ნუ იტყვით და მასმედიის წარმომადგენლებს შორისაც ყოფილა გაუგებრობები.

როგორც მოგახსენეთ, „ლაციო" მიმდინარე სეზონში ერთობ დაქვეითებულია. ანუ სხვა სიტყვებით, ცუდად თამაშობს და ბუნებრივია გულშემატკივრებიც განაწყენებულნი არიან, მაგრამ ბევრი თვლის, რომ თუ ხვალ ის „რომას" დამარცხებას შეძლებს, ბევრი რამ ეპატიება. წარმოიდგინეთ რამხელა სიამოვნებაა „რომას" მოუგო და ზედაც ჩემპიონობაში ხელი შეუშალო, ფაქტობრივად, კვანტი დაუდო.

თავის მხრივ, „რომას" წინა ტურში „ლეჩესთან" ნათამაშევი 1:1-ის გამო პირი აქვს მოსაბანი.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ჩემპიონის თავკაცი ფაბიო კაპელო, რომლის სახელს სულ მეტად და მეტად უკავშირებენ „ბარსელონას", „ლაციოსთან" შეხვედრაში გაბრიელ ბატისტუტას სათადარიგოთა სკამზე დასვამს და თავდასხმაში ვინჩენცო მონტელასა და მარკო დელვეკიოს წყვილს ათამაშებს.

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ინტერი | - | იუვენტუსი |
| ხვალ | | |
| ვენეცია | - | ბრეშა |
| ტორინო | - | კიევო |
| ინტერი | - | იუვენტუსი |
| ატალანტა | - | ლეჩე |
| ბოლონია | - | მილანი |
| ვერონა | - | პარმა |
| პიაჩენცა | - | პერუჯა |
| ლაციო | - | რომა |
| ფიორენტინა | - | უდინეზე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 25 | 15 | 7 | 3 | 44:21 | 52 |
| იუვენტუსი | 25 | 14 | 9 | 2 | 47:19 | 51 |
| რომა | 25 | 13 | 11 | 1 | 35:15 | 50 |
| ბოლონია | 25 | 12 | 5 | 8 | 28:26 | 41 |
| კიევო | 24 | 11 | 6 | 7 | 42:35 | 39 |
| მილანი | 25 | 9 | 11 | 5 | 35:26 | 38 |
| ლაციო | 25 | 9 | 9 | 7 | 34:22 | 36 |
| პერუჯა | 25 | 9 | 6 | 10 | 28:32 | 33 |
| ტორინო | 25 | 8 | 8 | 9 | 28:30 | 32 |
| ვერონა | 25 | 9 | 5 | 11 | 33:39 | 32 |
| პარმა | 24 | 8 | 6 | 10 | 32:35 | 30 |
| ატალანტა | 25 | 8 | 6 | 11 | 29:39 | 30 |
| უდინეზე | 25 | 8 | 5 | 12 | 34:41 | 29 |
| პიაჩენცა | 25 | 7 | 7 | 11 | 36:35 | 28 |
| ბრეშა | 25 | 5 | 11 | 9 | 28:40 | 26 |
| ლეჩე | 25 | 5 | 9 | 11 | 25:37 | 24 |
| ფიორენტინა | 25 | 5 | 5 | 15 | 27:49 | 20 |
| ვენეცია | 25 | 3 | 6 | 16 | 23:47 | 15 |



იუვენტუსელ ლილიან ტურამს (უკან) დღესაც დიდი ჯაფა დაადგება

## ინგლისი. ასოციაციის თასი მეოთხედფინალი

THE F.A. CUP



არსენალელ სოლ კემპბელს (ზურგით) „ნიუკასლის" კარის ზედე შერჩეული აქვს

### ნიუკასლი VS არსენალი
### მიდლსბრო VS ევერტონი
### ტოტენჰემი VS ჩელსი
### ვესტ ბრომვიჩი VS ფულემი

# ინგლისში ცივა-ცხელას თამაშობენ

## ჩელსი – ცქრიალა ღვინო ძველი ლორდები

**ჯიგრიანი** თამაშები უნდა გაიმართოს ასოციაციის თასის მეოთხედფინალებში და წყვილებიც ისეთია, სათასო ვნებებს კიდევ უფრო რომ აცუნდრუკებს.

მთავარი მატჩი „ნიუკასლი" — „არსენალიაო", ჯიუტად სჯერათ ალბიონზე. ლონდონელები ორი კვირის წინ ესტუმრნენ „მეციხოვნეებს" საპრემიერლიგოდ და სამი ქულაც აართვეს. ამჯერად ჩრდილოეთ ინგლისში უფრო ცივად დახვდებიან არსენ ვენგერის ბიჭებს — ეს საკამათო არ უნდა იყოს.

„არსენალს" ტიერი ანრი არ ეყოლება. ფეხმარდი ფრანგი შარშანდელი ცოდვისთვის დასაჯეს, როცა „ჰაიბერიზე" „ნიუკასლთან" შეხვედრაში მსაჯისკენ გაიწია. ანრის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია სტკიცეს და არსენ ვენგერს ახლა დენის ბერხკამპის ეიმედება. ჰოლანდიელი შემტევი ახლა ჩინებულ ფორმაშია, ბოლო დროს სულაც გოლი-შედევრები გააქვს, მაგრამ... ვენგერი ბერხკამპს ჩემპიონთა ლიგისთვის უფრთხილდებაო, ესეც დასცდათ ინგლისელ ჟურნალისტებსა და „არსენალის" ფანებს.

სამშაბათს ხომ „არსენალს" ესპანურ „დეპორტივოსთან" ელის შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაში.

„ვგრძნობ, რომ საუკეთესო გზა „დეპორტივოსთან" მატჩისთვის მოსამზადებლად ასოციაციის თასის მეოთხედფინალიდან გაღწევაა. კარგია, როცა ბევრ ტურნირში მონაწილეობ, რადგან თამაშიდან თამაშამდე ბევრი ლოდინი არ გიწევს. როცა საქმეს კარგად აკეთებ, ამით გუნდში რწმენა შეგაქვს და ერთადერთ პრობლემას ის ქმნის, რომ ბევრი მატჩების გამო ფეხბურთელთა ტრავმებიც უფრო მეტია" — თავისებურად მოხაზა სიტუაცია არსენ ვენგერმა.

პრობლემა „ნიუკასლსაც" აქვს. ბობი რობსონის გუნდი ტრავმირებულ შემტევ კრეიგ ბელამის მოისაკლისებს. კირონ დაიერი კი მასზე ადრე დაშავდა. ცხადია, ასეთ დროს ჭარმაგი ალან შირერი უნდა შეეჭიდოს ჭაპანს.

„ნიუკასლს" შინ კარგად მოთამაშე გუნდის იმიჯი აქვს, სტუმრად კი ტრადიციულად უჭირს. ბოლოს „მეციხოვნეებმა" გასვლაზე „ლივერპულთან" 0:3 წააგეს. „ძალიან გაწბილებული გახლდით, მაშინ ჩვენი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოვავლინეთ" — დასძინა ბობი რობსონმა. „არსენალთან" დღევანდელ მატჩზე კი ზოგადად თქვა, ვნახოთ რა მოხდებაო.

ლონდონის პროვინციულ უბანში, „უაით ჰართ ლეინზე" მოუწევთ არისტოკრატებს სტუმრობა. „ტოტენჰემი" კი რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერმა" დაიბრიყვა 4:0. ჰოდა, ჩელსელთა იტალიელი მენეჯერი კლაუდიო რანიერი იმტაზეა, თავისივე „ჩელსის" ამ დღეებში ქათინაური უძღვნა და ისიც კი თქვა, შამპანურივით შუშხუნა და ცქრიალა გუნდი ვართო.

„მიდლსბრო" — „ევერტონი" და „ვესტ ბრომვიჩი" — „ფულემი" ვითომდა ბევრს არაფერს გვპირდება, მაგრამ ერთს ნუ დავივიწყებთ — „ბორომ" მერვედფინალიდან „მანჩესტერი" დაიფრინა.

**დავით თამართჭილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

# ფინკე ფრთხილობს და უკან იყურება

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბაიერნი | - | მიუნხენი |
| ლევერკუზენი | - | კოტბუსი |
| ზანქტ პაული | - | ფრაიბურგი |
| ნიურნბერგი | - | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | - | კიოლნი |
| ჰანზა | - | ლაუტერნი |
| დორტმუნდი | - | გლადბახი |
| ხვალ | | |
| შალკე | - | შტუტგარტი |
| ჰერტა | - | ჰამბურგი |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 25 | 15 | 5 | 5 | 59:31 | 50 |
| დორტმუნდი | 25 | 14 | 7 | 4 | 39:21 | 49 |
| ლაუტერნი | 25 | 15 | 3 | 7 | 49:36 | 48 |
| ბაიერნი | 25 | 14 | 5 | 6 | 49:19 | 47 |
| შალკე | 25 | 13 | 6 | 6 | 39:25 | 45 |
| ჰერტა | 25 | 12 | 7 | 6 | 42:29 | 43 |
| ვერდერი | 25 | 12 | 4 | 9 | 35:28 | 40 |
| მიუნხენი | 25 | 12 | 3 | 10 | 39:39 | 39 |
| შტუტგარტი | 25 | 9 | 8 | 8 | 30:28 | 35 |
| ჰამბურგი | 25 | 9 | 6 | 10 | 38:38 | 33 |
| ვოლფსბურგი | 25 | 8 | 6 | 11 | 40:39 | 30 |
| გლადბახი | 25 | 6 | 9 | 10 | 27:37 | 27 |
| ჰანზა | 25 | 7 | 5 | 13 | 23:35 | 26 |
| კოტბუსი | 25 | 7 | 5 | 13 | 24:44 | 26 |
| ნიურნბერგი | 25 | 7 | 4 | 14 | 25:43 | 25 |
| ფრაიბურგი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:42 | 24 |
| ზანქტ პაული | 25 | 3 | 9 | 13 | 27:47 | 18 |
| კიოლნი | 25 | 3 | 7 | 15 | 12:43 | 16 |

**დღეს** მიუნხენური დერბია. „ოლიმპიაშტადიონზე" ფორმალური მასპინძელი „ბაიერნი" იქნება, სტუმარი — „მიუნხენი". „ბაიერნმა" ბოლო სამ ტურში მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა — „ფრაიბურგს", „კოტბუსსა" და „შტუტგარტს" მოუგო, მეოთხე საფეხურზე დადგა და ლიდერ „ლევერკუზენს" სამი ქულითღა ჩამორჩება. ბუნდესლიგის დამთავრებამდე ცხრა ტური კიდევ დარჩა, ამიტომ ზამთარში თითქმის ჩამოწერილ „ბაიერნს" ჯერაც არაფერი დაუკარგავს. ეგ არის, ოთხშაბათს „შალკესთან" ქვეყნის თასის ნახევარფინალში წააგო და ამით ხასიათი ცოტა გაიფუჭა. დღევანდელ მატჩში ფავორიტი, ცხადია, ოტმარ ჰიცფელდის გუნდია, მით უმეტეს, რომ შარშან ოქტომბერს ჩემპიონებმა „მიუნხენს" 5:1 მოუგეს. თუმცა დერბი დერბია, თანაც მასპინძლებს არ ეყოლებათ დაშავებული შოლი, ასევე დისკვალიფიცირებული კუფური, ლიზარაზუ და კაპიტანი ეფენბერგი. ეს უკანასკნელი წინა ტურში შტუტგარტელ ბალაკოვს ისე დაეჯახა, რომ ბულგარელს ნეკნების, ხერხემლისა და მალის დაზიანება აღმოუჩინეს. მაშინ მსაჯმა ეფენბერგს მხოლოდ ყვითელი უჩვენა, მაგრამ ეფეს ამ ფერის ბარათები საკმარისზე მეტი მოუგროვდა და თამაშსაც ამიტომ ტოვებს.

ჩემპიონატისა რა ვთქვათ, სხვა მხრივ კი „ბაიერნის" საქმეები ჩინებულად მიდის. რამდენიმე კვირის წინ კლუბი სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა, ახლახან კი ახალ სპონსორთან გააფორმა ხელშეკრულება და გაისიდან მაისურებზე OPEL-ის ნაცვლად T·COM (?) ეწერება. სატელეკომუნიკაციო კომპანია „დოიჩე ტელეკომი" კლუბს 2008 წლამდე უსპონსორებს და წელიწადში 20 მილიონ ევროს გადაუხდის. „ბაიერნის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებით „დოიჩე ტელეკომიც" ფრიად იხეირებს: „ჩვენს ახალ პარტნიორს წინ კარგი დროება ელის, დარწმუნებული ვარ, „ბაიერნთან" კავშირის წყალობით ფირმის აქციათა კურსი აიწევს" — თქვა ჩემპიონთა ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი", რომელმაც ბოლო 13 ტურში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, უშუალო კონკურენტ „ზანქტ პაულის" ეწვევა ჰამბურგში. მასპინძელთა მწვრთნელი დიტმარ დემუტი ამბობს, ჩვენთვის ეს მატჩი წლეულს ყველაზე მნიშვნელოვანიაო. დღეისთვის ზანქტელები ბოლოსწინა ადგილზე არიან და „ფრაიბურგს" ექვსი ქულით ჩამორჩებიან. თუ დარჩენილი შეხვედრების განრიგს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „ზანქტ პაულის" ლიდერებთან დავიდარაბა მოლეული აქვს და ქულების წამოკრეფის შანსიც ეზრდება, ამიტომაცაა ხავსს რომ ეჭიდება და გააფთრებით იბრძვის, აი, წინა ტურში მეორეადგილოსან „დორტმუნდს" ეწვია და ფრეს მიაღწია, თანაც ლამის მთელ შეხვედრას იგებდა. ფრაიბურგელთა დამრიგებელი ფოლკერ ფინკეც ამიტომ ამბობს: „ჩვენი მიზანი სამი ქულის მოპოვებაა, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, „ზანქტ პაულიმ" წინა კვირაში დიდი ამბები დაატრიალა".

„ფრაიბურგი" გასავარდნებს შორისაა და ცხრილის ეს ნაწილი ქართველი გულშემატკივრისთვის, ცხადია, გამორჩეულად საინტერესოა. დაქვეითების კანდიდატი დაახლოებით შვიდი გუნდია, რომელთაგან ყველაზე ცუდად საქმე „კიოლნს" აქვს. თამაშის ხარისხს თავი დავანებოთ და დარჩენილ ტურებში ერთობ რთული კალენდარიც აქვს. აბა, „ბაიერნთან", „შალკესთან", „ლევერკუზენთან" და „დორტმუნდთან" შებმა როგორია, მით უფრო როცა ბოლო ადგილზე ხარ და საკუთარი ძალის რწმენა თითქმის აღარ გაგაჩნია. ლიდერებთან გაჯიბრება მოუწევს „ფრაიბურგის" თავზე მდგარ „ნიურნბერგსაც", რომელიც დღეს „ვერდერს" მასპინძლობს, დანარჩენებს კი მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძნელის მატჩები უწევთ და ყველაფერი მათ მოხერხებაზე იქნება დამოკიდებული.

„კიკერის" ცნობით, დღეს სამივე ქართველი „ფრაიბურგის" ძირითადში ითამაშებს. ლიდერი და შუა კვირაში ქვეყნის თასის ფინალში გასული „ლევერკუზენი" ფრაიბურგელთა ერთ-ერთ კონკურენტ „კოტბუსს" დაუხვდება და ალბათ, ნოიველი, ბაშთურქი და ზე რობერტო არ ეყოლება, სტუმრები კი დისკვალიფიცირებულ პოლონელ კობილანსკის ვერ ათამაშებენ.

ხვალ კიდევ ორი ბობოლა ჩაებმება საქმეში: „შალკე" „შტუტგარტს" იწვევს, ხოლო „ჰერტა" — „ჰამბურგს". გელზენკირხენელებს თითქმის ყველა მწყობრში ჰყავთ, ბერლინელებს კი წინა ტურში ეროვნული გუნდის მცველი მარკო რემერი დაუშავდათ. რემერმა მარჯვენა მუხლი დაიზიანა და როდის დაუბრუნდება მინდორს, ჯერ არავინ იცის.



პირველი წრის მიუნხენურ დერბიში ჯოვანი ელბერმა (მარჯვნივ) და „ბაიერნმა" თანაქალაქელებს 5:1 მოუგეს

## ესპანეთი

გიორგი დარხანია

# იეროფიქრები
## თასდავიწყება ძნელია

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ლას პალმასი | - | ალავესი |
| რეალი | - | ვილიარეალი |
| ბეტისი | - | ბარსელონა |
| დეპორტივო | - | რაიო ვალეკანო |
| ხვალ | | |
| ესპანიოლი | - | ბილბაო |
| ვალიადოლიდი | - | სელტა |
| მალაგა | - | სარაგოსა |
| ვალენსია | - | სევილია |
| მალიორკა | - | ოსასუნა |
| სოსიედადი | - | ტენერიფე |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 28 | 13 | 11 | 4 | 33:22 | 50 |
| რეალი | 28 | 14 | 7 | 7 | 53:31 | 49 |
| დეპორტივო | 28 | 14 | 5 | 9 | 41:33 | 47 |
| ბარსელონა | 28 | 13 | 7 | 8 | 47:26 | 46 |
| ბეტისი | 28 | 12 | 10 | 6 | 32:24 | 46 |
| ბილბაო | 28 | 12 | 9 | 7 | 40:39 | 45 |
| სელტა | 28 | 10 | 12 | 6 | 43:32 | 42 |
| ალავესი | 28 | 13 | 3 | 12 | 28:27 | 42 |
| ვალიადოლიდი | 28 | 11 | 6 | 11 | 31:42 | 39 |
| სევილია | 28 | 10 | 8 | 10 | 43:32 | 38 |
| ესპანიოლი | 28 | 10 | 8 | 10 | 35:41 | 38 |
| მალაგა | 28 | 8 | 11 | 9 | 31:36 | 35 |
| ოსასუნა | 28 | 8 | 10 | 10 | 25:32 | 34 |
| ვილიარეალი | 28 | 8 | 9 | 11 | 30:33 | 33 |
| სარაგოსა | 28 | 9 | 5 | 14 | 26:39 | 32 |
| სოსიედადი | 28 | 8 | 6 | 14 | 35:41 | 30 |
| მალიორკა | 28 | 8 | 6 | 14 | 30:37 | 30 |
| ლას პალმასი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:34 | 30 |
| რაიო ვალეკანო | 28 | 7 | 7 | 14 | 33:45 | 28 |
| ტენერიფე | 28 | 7 | 7 | 14 | 22:39 | 28 |

**ეს კვირა** სამეფო თასის ფინალისა იყო და ორიოდ სიტყვით არ მოვიხსენიოთ, არ იქნება. სათქმელი კი ის არის, რომ „რეალს" ჩაშწარებული იუბილეს დავიწყება მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრიმერადივიზიონის ჩემპიონობაც განზე დარჩება. ამასთან დაკავშირებით კაპიტანმა ფერნანდო იერომ თქვა, თასის დაკარგვით სამყაროს აღსასრული არ დამდგარა და ახლა უნდა ვეცადოთ, იმ მწვერვალზე ასვლას, რომლის კენწეროზეც ჩემპიონობა დევსო. მწვერვალის ბოლომდე კი რაღა დარჩა — ათი ტური და ცხრილში ისეთი სიმჭიდროვეა, რაიმე პროგნოზის გაკეთება ერთობ სახიფათო რამ არის.

„რეალს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ადგილი დაბევებული აქვს, ლიდერ „ვალენსიას" ერთი ქულით ჩამორჩება და დღეს „ვილიარეალს" მასპინძლობს. „სამეფო თასის დაკარგვა ჩემპიონატში კიდევ უფრო ტინიანად თამაშისთვის განგვაწყობს, ამიტომ „ვილიარეალთან" მატჩი ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია" — დასძინა იერომ.

დედაქალაქელებს დღეს ლუიშ ფიგუ არ ეყოლებათ. მოგეხსენებათ, თვისტომელებთან („პორტუ") სალიგო მატჩში ნატკენი კოჭის მიუხედავად, ფიგუმ თასის ფინალში ითამაშა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და შეცვალეს. როგორც „დეპორტივოსთან" შეხვედრაში, ამჯერადაც მას სტივ მაკმანამანი შეცვლის.

„ვილიარეალმა" კი, შეგახსენებთ, წინა ტურში დიდი ბრძოლა გაუმართა „რეალ ბეტისს", ფრედ ეთამაშა, თუმცა დივიზიონში ოდენ მეთოთხმეტე ადგილზეა. „ბერნაბეუზე" ვერ ითამაშებს ნახევარმცველი ხორხე ლოპესი, მიზეზი ტრავმაა.

„დეპორტივოს" გუნება-განწყობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, უადგილოა, ხავიერ ირურეტას თასის მოგების მერე გაკეთებული კომენტარი გავიხსენოთ, „რეალს" თასი კი წავართვით, მაგრამ ჩემპიონატში ჩვენზე წინაა და იქაც უნდა გადავუსწროთო.

გადასწრებისა რა მოგახსენოთ, მაჩაჩალა „რაიო ვალეკანოს" დამარცხება კი ლაკორუნიელებს ნამდვილად მართებთ და შეუძლიათ. ვალეკანოელებმა წინა ტურში პრინციპული მატჩი დათმეს შინ „მალიორკასთან" და „რიასორზე" რას უნდა გახდნენ.

პირველ წრეში „ბარსელონასგან" სამი უპასუხო გოლის გაშვები „ბეტისი" კატალონიელებს მასპინძლობს. წინა ტურის მერე გუნდების შემადგენლობებში რაიმე ცვლილება მოსალოდნელი არ არის, თამაშის მნიშვნელობაზე კი ვთქვათ, რომ ისინი ცხრილში მეზობლები არიან და ჩემპიონობისთვის იბრძვიან.

„ესპანიოლი" ხვალ მასპინძლობს „ბილბაოს", ვფიქრობთ, მასპინძელთა უპირველეს მეგოლე რაულ ტამუდოს ანტონიო პაჩეკო შეუწყვილდება, ფრანსისკო პალენსია კი სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. ბასკთა მწვრთნელ იუპ ჰაინკესს თავსატეხად ისმაელ ურსაისის დისკვალიფიკაცია ქცევია, ხოლო დაცვის მარჯვენა ფლანგზე ხავი გონსალესის ნაცვლად იჩიგო ლარაინსარის დაბრუნებას აპირებს.

„ტენერიფეს" ამთამაშებელი, მაგრამ ბოლო ადგილიდან ჯერ ვერამომყვანი ხავიერ კლემენტე კუნძელელებს სან სებასტიანში ჩაიყვანს თავის ყოფილ გუნდთან გასაჯიბრებლად. საეჭვოა, „სოსიედადს" ხაბი ალონსო დაეხმაროს, რაკი ზურგს იტკიებს.

ლიდერი „ვალენსია", რომელსაც სალვა ბალესტა და კილი გონსალესი დაუბრუნდნენ, „სევილიას" უმასპინძლებს და, ცხადია, წინა ორი მატჩის მოგების გასამებას ეცდება, რაც ლიდერობის შენარჩუნებასაც ნიშნავს. სევილიელებს, ალბათ, არ ეყოლებათ საუკეთესო თავდამსხმელი მოიზეს გარსია, რომელსაც მუხლი აქვს დაშავებული.

„ვალიადოლიდი" და „სელტა" ერთმანეთს შესუსტებული შემადგენლობით შეხვდებიან. მასპინძლებს მცველი ხუან მანუელ პენია და ნახევარმცველი ხესუსი ტრავმების გამო დააკლდებიან, ვიგოელთა ბრაზილიელ დიეგო კავანიას კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი.



ფერნანდო იერო

„ლას პალმასის" მეკარე ნაჩო გონსალესის საპასპორტო მაქინაციებზე დღევანდელ „სარბიელში" ცალკეც ვწერთ, აქ კი აღვნიშნოთ, რომ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი ბოლო წუთამდე დაელოდება ექიმთა პასუხს, რომელთაც ნახევარმცველი ანხელ ლოპესის მუხლის ტრავმის სიმძიმე უნდა განსაზღვრონ. „ლას პალმასის" ხვალინდელი მეტოქე მერვეადგილოსანი „ალავესია". „ბარსელონასგან" ნაგვემ „მალაგას" კი დარიო სილვა დაუბრუნდა და ასე დაუხვდება „სარაგოსას".

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## A ჯგუფი: საფრანგეთი, სენეგალი, ურუგვაი დანია



**ფართობი:** 43 094 კმ² (გრელანდის გარეშე)
**მოსახლეობა:** 5 330 000
**დედაქალაქი:** კოპენჰაგენი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1889 წელს
ფიფას წევრი 1904 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** პოულ ჰილდგაარდი
**გენერალური მდივანი:** ჯიმ სტიერნე ჰანსენი
**სტადიონი:** „პარკენი" (41 641)
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი
**კაპიტანი:** თომას ჰელვეგი
**ფორმა:** წითელი მაისურა, თეთრი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ბრონდბიუ", „კოპენჰაგენი", „ოდენსე", „ოლბორგი", „ორჰუსი", „სილკებორგი", „ვაილე", „ჰერფიოლგე"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 19



## არის ასეთი ქვეყანა

დანია ახლა ქებული, ერთ დროს კი დიდი ქვეყანა გახლდათ, მაგრამ ნორვეგია თავის გზით წავიდა, პრუსიამ შლეზვიგის და ჰოლშტაინის პროვინციები წაიღო და თითქოს რა დარჩა, მაგრამ გეოგრაფიის წიგნებში დანიის ტერიტორია ხშირად მილიონობით კვადრატული კილომეტრით აღინუსხება და საქმე ისაა, რომ როცა მთელი ევროპა დანარჩენ მსოფლიოს იყოფდა, დანიელებს გრელანდიის უზარმაზარი ყინულოვანი კუნძულის მეტი არაფერი შეხვდათ.

შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა აჭრელდა. ინდოელებმა და სხვებმა ინგლისის უღელი მოიშორეს, ლათინურმა ამერიკამ ესპანელები გაყარა, ჩრდილოეთ აფრიკამ — ფრანგები და ასე შემდეგ, დანიას კი გრელანდია დღემდე ხაზივით შერჩა, რადგან იმ საყინულეში ადამიანთაგან ათზე ცოტა მეტი ესკიმოსი თუ ცხოვრობს და თეთრი დათვების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ არ დაწყებულა.

მოკლედ, გრელანდია — დანიას, თავის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსებით და ნაღდი დანია კი იუტლანდიის ნახევარკუნძული და რამდენიმე კუნძული გახლავთ, სადაც ძველი ევროპის რისხვა ვიკინგთა ჩამომავლები ცხოვრობენ. კუნძულზეა დედაქალაქი კოპენჰაგენიც, ლამაზი ქალაქი, რომელმაც უთვალავი მანქანების მიუხედავად, სატრანსპორტო საცობების არსებობა არც უწყის.

და კიდევ დანიაში მთა ისეთივე საოცრებაა, როგორც თოვლი ეკვატორზე

**დავით გულუა**

### ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს წარმოგიდგენთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებს



# საფრანგეთის წილხვედრი ქვეყანა

**სკანდინავიაში** ფეხბურთის ფედერაცია პირველებმა დანიელებმა შექმნეს. საერთოდაც, რაგინდ უცნაურად გეჩვენოთ, სპორტის ამ სახეობას ჰამლეტის ქვეყანაში 1860 წლიდან აქვს ფესვები გადგმული და კლუბებიც აქ ინგლისურ გრანდებზე ადრე შეიქმნა. შემდეგ იყო 1908, 1912 და 1960 წლების ოლიმპიადები, სადაც დანიელმა ფეხბურთელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ოღონდ... ნამდვილი აღიარება მხოლოდ 1980-იანი წლების შუიდან მოვიდა.

რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, 1976 წლიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც ზემოხსენებულმა, უძველესმა ფეხბურთის ფედერაციამ უცხოეთში მოთამაშე პროფესიონალ თანამემამულეებს ეროვნული გუნდის მაისურის ჩაცმაზე თანხმობა მისცა. ორი წლის შემდეგ, ანუ 1978-ში საკუთრივ დანიაში გახდა ფეხბურთი პროფესიული. ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ვარსკვლავი ალან სიმონსენი გერმანიაშია და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ღირსებას იცავს. თავად განსაჯეთ, სიმონსენს იმხანად გერმანიის ჩემპიონის სამი მედალი და უეფას თასის ორგზის მფლობელის სერტიფიკატი უმშვენებდა ტიტულთა ნუსხას — განა შეიძლებოდა ამ რანგის მოთამაშის ნაკრებში არ შეშვება? თუმცა, ჩია დანიელი ფორვარდის ღირსებათა ჩამოთვლა ამით არ დასრულებულა — 1977 წელს მას „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი" ერგო ანუ კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. სამწუხაროდ, ეს მოთამაშე 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფრანგებთან შეხვედრაში ისე დაშავდა, რომ იძულებული შეიქნა კარიერა დაესრულებინა.

1986 წელს დანიის ნაკრები პირველად მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. იმ გუნდში გამოჩენილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, პრებენ ელკიაერ ლარსენზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ იყვნენ მორტენ ოლსენი, ფრენკ არნესენი და იმჟამად 22 წლის მიქაელ ლაუდრუპი. სადებიუტო ჩემპიონატში დანიელებმა რამდენიმე საუცხოო თამაში ჩაატარეს. ლაუდრუპის მიერ შთაბერილი სულით მათ 1:0 მოუგეს შოტლანდიელებს, 6:1 ურუგვაელებს და 2:0 თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს. მაგრამ მერვედფინალში ესპანელებთან ხელი მოეცარათ და მწარედ დამარცხდნენ 1:5.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორ წელიწადში, 1988 წელს, ევროპის პირველობაზე, დანიის ნაკრებს თამაში არ აეწყო. ჯადოსნურმა გუნდმა ზედიზედ სამ შეხვედრაში იწვნია მარცხი (გფრ-სთან, იტალიასა და ესპანეთთან), რასაც კიდევ ორი წლის შემდეგ, იტალიიდან მსოფლიოს მორიგი პირველობის თამაშების ტელეტრანსლაციებით დაჯერება მოჰყვა.

მაგრამ დადგა 1992 წელი და... გუნდი, რომელიც შესარჩევ შეჯიბრებას ვერ გასცდა, ევროპის ჩემპიონი გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ წელიწადს ბალკანეთს სისხლიანი ომის ტალღამ გადაუარა. იუგოსლავიას (შესარჩევში კი სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებმა გაიმარჯვა და შვედეთის სტადიონებზეც სწორედ მას უნდა ეთამაშა) გაერომ მკაცრი სანქციები დაადო და უეფაც იძულებული შეიქნა პოლიტიკოსთათვის ანგარიში გაეწია. ერთი სიტყვით, დანია ტურნირზე, თუ ამ სიტყვის თქმა უხერხული არ არის, შემთხვევით მოხვდა და თავიდან ჯგუფში (საფრანგეთი, შვედეთი, ინგლისი) დაიკავა პირველი ადგილი, შემდეგ კი — მიქაელ ლაუდრუპს წინ უმცროსი, ბომბარდირი ძმა ბრაიანიც დაემატა — ნახევარფინალში ჰოლანდიას, ხოლო ფინალში გერმანიას (გფრ და გდრ უკვე გაერთიანებული გახლდათ) აჯობა.

და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, აშშ-ის 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დანიელები კვლავ ვერ მოხვდნენ, ხოლო 1996 წლის ევროპის პირველობაზე, ინგლისში, D ჯგუფში პორტუგალიასთან ფრე გაახერხა, ხორვატიასთან 0:3 წააგო, ხოლო თურქეთს, მართალია, 3:0 მოუგო, მაგრამ ამას გულის ფხანის მეტი არაფერი მოუტანია.

1998 წელს დანიის ნაკრები მეორედ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. იქ კენჭისყრამ პირველ ეტაპზე მასპინძელ და მომავალ მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთთან, საუდის არაბეთთან და სამხრეთ აფრიკასთან აძულა პაექრობა. პირველი თამაში დანიელებს საუდელებთან ერგოთ და გაიმარჯვეს კიდეც. შემდეგ იყო ფრე სამხრეთ აფრიკელებთან და ბოლოს მარცხი ფრანგებთან. ჯგუფიდან გასულებს, მერვედფინალში ნიგერიის ერთობ ძლიერი და ნიჭიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული ნაკრები გადაეყარათ. აქ ასეთ შედეგს არავინ ელოდა, უკვე მე-12 წუთზე დანიელები 2:0-ს იგებდნენ, რასაც შემდეგ კიდევ ორი გოლი დაამატეს და ბოლოს ქრთი და აფრიკელთათვის არაფრისმომცემი გაუშვეს.

მეოთხედფინალში მსოფლიო დანია — ბრაზილიის მოწმე შეიქნა. და თუკი იმ ჩემპიონატში რამემ მიანიშნა, რომ ტეტრაკამპიონები მეხუთე ტიტულის მოპოვებას ვერ შეძლებდნენ, სწორედ დანიელების მოწყობილი გამოცდა გახლდათ. ანგარიში დანიამ, კერძოდ იორგენსენმა გახსნა, მაგრამ ბებეტომ მალე გაათანაბრა. ამის შემდეგ რივალდომ გაიბრწყინა — 2:1, მაგრამ უმცროსმა ლაუდრუპმა გაქვითვა მოახერხა.

შემდეგ კი რივალდოს ნიჭმა ჩარხი ისევ სამხრეთამერიკელების სასარგებლოდ დაატრიალა, ხოლო დანიელებმა საფრანგეთი დატოვეს. ამასთან, როგორც გაირკვა, ეს გახლდათ ძმების, ლაუდრუპის საფეხბურთო გედის სიმღერა.

ევრო 2000-მა დანიის ეროვნულ გუნდს კარგად მოსაგონარი არაფერი არგუნა — საფრანგეთთან 0:3, ჰოლანდიასთან 0:2 და ჩეხეთთან 0:2. როგორც ჩანს, ლაუდრუპების ეპოქამ თავისი ლონე გაიყოლა, მაგრამ ახალი?

ახლებს ივნისში ვნახავთ, რაგინდ პარადოქსულიც იყოს ისევ ფრანგებთან და მათ გარდა სენეგალელებთან და ურუგვაელებთან პაექრობაში. აქ კი დღეს საქვეყნოდ ცნობილი დანიელი ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ:

იონ დალ ტომასონი, 25 წლის, ნახევარმცველი. ძირითადად ჰოლანდიურ გუნდებში თამაშობს, თუმცა ცოტა ხნით და საკმაოდ უიღბლოდ ინგლისურ პრემიერლიგაში, კერძოდ კი „ნიუკასლ იუნაიტედში" მოსინჯა ძალა. მას ბევრი გოლი გააქვს, თუმცა კრიტიკოსები მრავალი ხელსაყრელი მომენტის ვერ გამოყენებასაც აბრალებენ.

ებე სანდი, 29 წლის, შესარჩევ ეტაპზე დანიელთა გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. მთელ შეჯიბრებაში (ყველა ჯგუფის გაერთიანებით) ბომბარდირობა მხოლოდ უკრაინელ ვარსკვლავ ანდრეი შევჩენკოს დაუთმო. ფაქტობრივად, მთელი კარიერა „ბრონდბიუში" გაატარა, თუმცა ბოლოხანს გერმანიაში გადაბარგდა და „შალკე 04-ში" გამოდის, სადაც ლიდერთაგანია.

და თუ ნებას დაგვრთავთ, წამყვანთა სიაში 38 წლის იან ჰაინცესაც გავურევთ, რადგან „პსვ ეინდჰოვენის" მცველს ჩამოყალიბებული ბებრის ყავადლობის პერიოდი უდგას. მეტიც, ჰოლანდიურმა ჟურნალმა „ფუტბოლ ინტერნეშენალმა" დანიელი მცველი საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა. აღსანიშნავია, რომ ჰაინცეს პსვ-ში მხარს დანიის ნაკრების კიდევ ერთი მცველი, კასპერ ბოგელუნდი უმშვენებს.

**ბაჩუნა ძედია**

## განრიგი

**1 ივნისი**
ულსანი (კორეა). 13.00 საათი
„ულსან მუნსუ ფუტბალ სტადიუმი"
დანია – ურუგვაი

**6 ივნისი**
დაეგუ (კორეა). 15.30 საათი
„დაეგუ ვორლდ ქაფ სტადიუმი"
დანია – სენეგალი

**11 ივნისი**
ინჩეონი (კორეა). 10.30 საათი
„ინჩეონ მუნჰაკ სტადიუმი"
დანია – საფრანგეთი

*მატჩების დასაწყისი მოცემულია ჩვენი დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი**

02.09.2000
ისლანდია 1:1 დანია
07.10.2000
ჩრდ. ირლანდია 1:1 დანია
11.10.2000
დანია 1:1 ბულგარეთი
24.03.2001
მალტა 0:5 დანია
28.03.2001
ჩეხეთი 0:0 დანია
02.06.2001
დანია 2:1 ჩეხეთი
06.06.2001
დანია 2:1 მალტა
01.09.2001
დანია 1:1 ჩრდ. ირლანდია
05.09.2001
ბულგარეთი 0:2 დანია
06.10.2001
დანია 6:0 ისლანდია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 10 | 6 | 4 | 0 | 22:6 | 22 |
| ჩეხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 20:8 | 20 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:15 | 17 |
| ისლანდია | 10 | 4 | 1 | 5 | 14:20 | 13 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 3 | 2 | 5 | 11:12 | 11 |
| მალტა | 10 | 0 | 1 | 9 | 4:24 | 1 |

## ტიტულები

ევროპის ჩემპიონი (1): 1992
მეოთხე ადგილი (1): 1964
ნახევარფინალისტი (1): 1984
ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი (3): 1908, 1912, 1960
მესამე ადგილი (1): 1948

## ოპტიმალური შემადგენლობა



გიო ახვლედიანის

სვეტი

# იუბილე

საერთოდ, იუბილეების იმედი არა მაქვს. განსაკუთრებით ისეთი იუბილეების, თითქოს საგანგებოდ რომ ემთხვევა ამათუიმ მნიშვნელოვან, მართლაც საქმიან მოვლენას.

მადრიდის „რეალმა" პირველი დიდი ჯილდო დაკარგა თავის საიუბილეო სეზონში, მშობლიურ მინდორზე. ასი წლის „რეალმა" ესპანეთის სამეფო თასი ვერ მოიგო. ვერ მოიგო კი არა, პირწმინდად წააგო „დეპორტივოსთან", რომელსაც სიმშვენიერის მიუხედავად არ გააჩნია სათასო შეჯიბრებებში გამარჯვების ტრადიცია და ეს ჯილდოც, ასევე ლამის საუკუნოვან ისტორიაში, მეორედ ერგო.

როდესაც ორი გუნდი თამაშობს, რომელთაგან პირველი სამყაროს ყველაზე ტიტულოვან კლუბს წარმოადგენს და თანაც დაბადების დღე აქვს, ცხადია, ამბობენ, რომ ეს გუნდი მორიგ საჩუქარს იმზადებს დაბადების დღისთვის. არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ იმ მეორე გუნდის ტიტულები ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება და აგერ მერამდენე წელიწადია, ეს გუნდი ამტკიცებს, რომ შეიძლება ჯილდო ბევრი ვერ მოიგო, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშო ფეხბურთი.

იუბილე სულაც არ არის იოლი რამ. მით უმეტეს, როცა იგი რაღაცის მოგებას გავალდებულებს. ერთია, რომ მოგება გინდა და მეორეა, რომ ვალდებული ხარ, დღესასწაული გაიორმაგო. ამას ათასი რამ მოითხოვს, მარკეტინგით დაწყებული დღესასწაულის გაორმაგებაზე საგანგაშოდ დაგეშილი ჟურნალისტებით დასრულებული. შედეგად კი, მარცხი დაგიხვდება. არა იმიტომ, რომ „რეალი" საუცხოო გუნდი არ არის, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ირკვევა, იმ ძველებური და ლამაზი ფორმით თამაში უბრალოდ თამაში აღარ არის ხოლმე და ეგებ სულ სხვა ტვირთსაც შემოაგდებს გამობრძმედილ მადრიდელ ვარსკვლავთა მხრებზე.

მარცხის ტექნიკურ შედეგს შევეშვათ და „რეალის" უფროსობისთვის მშობლიურ კედლებში ნაგებული საშინაო თასის ფინალი სხვაგვარი სიგნალიც უნდა იყოს, რადგან წლეულს გუნდი კიდევ ორ ჯილდოს, პრიმერადივიზიონის ჩემპიონობასა და ევროპის თასს უმიზნებს.

„რეალი" მზად არის გადამწყვეტი ბრძოლებისთვის, მაგრამ ოთხშაბათის მატჩი, სახიფათო სიგნალია. ამ სიგნალს ფსიქოლოგი მოუხდებოდა.

## კორეა–იაპონია 2002

# განუმეორებელი

## კონდიციონერი იდლიაში, მატჩის ბილეთი და სახიფათო მომენტი



კამერუნელებს მაისურებზე ნაჭერი არ დაკლებიათ, უბრალოდ ძალიან დასცხათ

**ფიფას** პრესმდივანი კეიტ კუპერი გაზეთის ფურცლისას განცხადებას წააწყდა. მისი ავტორი მკითხველს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე დასასწრებ ბილეთებს სთავაზობდა. ეს რომ ყოფილიყო, მაგალითად, ჩემპიონატი პოკეიში, კუპერი, ცხადია, ყურადღებას არ მიაქცევდა. აქ საქმე ფეხბურთს ეხებოდა, ამიტომ ფიფელმა მსოფლიოს აცნობა, რომ მსგავსი განცხადების ავტორები თაღლითები არიან. „შეუძლებელია, ვინმე ყიდდეს არარსებულ ბილეთებს — თქვა მან — ნამდვილი ბილეთები მხოლოდ საორგანიზაციო კომიტეტის ან ეროვნული ფედერაციების ხელშია. საერთო რაოდენობის 60 პროცენტი კი უკვე გაყიდულია. ვინც გაზეთის საშუალებით ცდილობს ბილეთების გასაღებას, უბრალოდ, ტყუის".

ჩემპიონატის იაპონელი ორგანიზატორები იტყობინებიან, რომ ბილეთები სულ გრიალით იყიდება და მალე აღარც დარჩება.

რაც შეეხება მეორე ვიწროთვალება მასპინძლებს, კორეელებს, ზოგიერთ თამაშის ბილეთებზე მცირე პრობლემები შექმნიათ, ჩინეთის მატჩებზე კი, რასაკვირველია, ყველა გაყიდულია.

ფიფაში, ორგანიზატორთა საგანგებო სხდომაზე, კიდევ ერთი რამ გადაწყდა — სტადიონებზე დამონტაჟებული გიგანტური ზომის ეკრანებზე თამაშს კი აჩვენებენ, მაგრამ მომენტების გამეორება აკრძალულია. ნებისმიერი ჯურის გულშემატკივარს ასევე აეკრძალება ამა თუ იმ ნაკრების ვარჯიშზე დასწრება. ეს უკვე ზედმეტი შარის თავიდან აცილების მიზნით.

ყველა ნაკრების ფეხბურთელი ტურნირის დაწყებამდე დოპინგ-ტესტს გაივლის. მატჩების შემდეგ კი ორ-ორ ვაჟკაცს აარჩევენ, ვისაც ლაბორატორიისთვის სისხლი და შარდი არ ენანება.

რადგან ნაირ-ნაირ თემებს შევეხეთ, თუმცა კი ყველაფერი მომავალი მუნდიალის გარშემო ტრიალებს, ერთიც ვთქვათ. თუ გახსოვთ, აფრიკის თასზე კამერუნის ნაკრები ნეოავანგარდისტული მაისურებით თამაშობდა. ისეთივე მაისურებით თამაშის ნება ფიფასთვის კამერუნელებს კორეა-იაპონიაშიც უთხოვიათ. ფიფელებმა ცივი უარი სტკიცეს აფრიკელებს. ამ უკანასკნელებმა უკან კი არ დაიხიეს, რაღაც ახალი შექმნეს და ისევ ჩინოვნიკთა კარს მიადგნენ, ეგ თუ არ მოგწონთ, სხვანაირი გვაქვს და იმას გაჩვენებთო. როცა ჰკითხეს, როგორიაო, კამერუნელებს მიუგიათ, კომერციული საიდუმლოა, ხელებით აგიხსნითო. როგორც აფრიკელებმა ფიფას აუხსნეს, მეც დაახლოებით ისევე ორი სიტყვით აგიხსნით. მაისურა საკმაოდ ეროტიკული ყოფილა, რამეთუ კუნთოვან სხეულს მკაფიოდ წარმოაჩენს, ხოლო იდლიებში კონდიცირების სუპერთანამედროვე სისტემა ჰქონია. ისურვებს თუ არა ფიფა აფრიკულად გაგრილებას, ვებ ჩვენც შეგვატყობინონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბექჰი, პეპსი და სუმო

**მომავალი** მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძელ იაპონიაში სუმო ისეთივე პოპულარული და სახალხო სპორტია, როგორიც ევროპაში ფეხბურთი. სამომხმარებლო ბაზრის მკვლევარებს ეს დეტალი, ცხადია, არ გამოეპარვიათ და შეძლებისდაგვარად იმას ცდილობენ, პროდუქციის რეკლამებსა და ვიდეოკლიპებში სუმო და ფეხბურთი ერთიმეორეს შეუთავსონ.

ფოტოზე „მანჩესტერ იუნაიტედის" და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავ დევიდ ბექჰემს და სუმოისტ ტეილორს ხედავთ, რომელიც, მართალია, სუმოს ბექჰემი ვერაა, მაგრამ კომპანია „პეპსიმ" თავის სარეკლამო კლიპში მისი გადაღებაც საჭიროდ ჩათვალა. აი, საფეხბურთო სამყაროდან კი ბექჰის გარდა ისეთ ცნობილ ვარსკვლავებს მოუყრიათ თავი, რივალდო, რობერტო კარლოსი და ედგარ დავიდსი რომ არიან. მერე რა, რომ დავიდსი და ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე არ თამაშობს, „პეპსი" ჰოლანდიაშიც ხომ უნდა დაილიოს.

კლიპის ერთ-ერთ ეპიზოდში ბექჰემი მადიანად შეექცევა შემწვარ წიწილას და პასტას. ინგლისელები კი ამაზე ხუმრობენ. ჭამოს, შეირგოს, ტეილორის ტოლა ეგ მაინც ვერ გახდებაო.

თავად სუმოისტმა აი, რა განაცხადა: „მე ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ, ძალიან გამიხარდა დევიდ ბექჰემთან და ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებთან კლიპში რომ გადამიღეს. ფეხბურთი არასდროს მითამაშია, ტელევიზორში კი ხშირად ვუყურებ".

„სუმო იუნაიტედ", ასე უწოდებენ „პეპსის" ახალი კლიპის პროექტს. აქვე გეტყვით, რომ „სუმო იუნაიტედში" მონაწილეთა საერთო წონა 2,3 ტონაა. საკითხავი, ალბათ, არაა, მსახიობებსა და სპორტსმენებს შორის ყველაზე მეტს ვინ იწონის.



## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

31-ე ტური: ამიენი — ლე ავრი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 31 | 15 | 11 | 5 | 41:24 | 56 |
| ბოვე | 31 | 13 | 14 | 4 | 32:17 | 53 |
| ლე ავრი | 31 | 13 | 13 | 5 | 43:25 | 52 |
| ნიცა | 31 | 15 | 5 | 11 | 42:33 | 50 |
| სტრასბური | 29 | 14 | 7 | 8 | 36:24 | 49 |
| ლე მანი | 31 | 13 | 9 | 9 | 42:36 | 48 |
| შატორუ | 31 | 13 | 6 | 12 | 33:32 | 45 |
| ლავალი | 31 | 12 | 7 | 12 | 37:38 | 43 |
| ამიენი | 31 | 10 | 11 | 10 | 38:37 | 41 |
| ვასკეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 36:41 | 41 |
| ნანსი | 29 | 9 | 12 | 8 | 31:27 | 39 |
| კაენი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:47 | 39 |
| გენიონი | 30 | 7 | 16 | 7 | 33:36 | 37 |
| გრენობლი | 31 | 9 | 10 | 12 | 29:42 | 37 |
| ნიორი | 31 | 7 | 14 | 10 | 32:33 | 35 |
| სენტ ეტიენი | 31 | 8 | 11 | 12 | 29:39 | 35 |
| ისტრი | 30 | 5 | 15 | 10 | 27:33 | 30 |
| კრეტეი | 31 | 6 | 11 | 14 | 29:40 | 29 |
| მარტიგი | 30 | 7 | 8 | 15 | 26:41 | 29 |
| ნიმი | 30 | 3 | 15 | 12 | 23:36 | 24 |

## ამხანაგური მატჩი

**ბრაზილია 6:1 ისლანდია**

1:0 ანდერსონ პოლგა (4), 2:0 კლებერსონი (20), 3:0 კაკა (47), 4:0 ჟილბერტო სილვა (51), 5:0 ედილსონი (62), 6:0 ანდერსონ პოლგა (69), 6:1 სტეინსონი (77)

**ბრაზილია:** მარკოსი, ჟუანი, ანდერსონ პოლგა, კრისი (ალექსი 46), ბელეტი (კლებერი 46), ჟილბერტო სილვა (ვამპეტა 63), კლებერსონი (მარკეში 46), კაკა, პაულუ სეზარი, ედილსონი, ფრანცა (ვაშინგტონი 46)

**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

**ისლანდია:** არასონი (ო. გუნარსონი 86), გ. იონსონი, გისლასონი (სტეინარსონ 86), ჰ. იონსონი, დანიელსონი (სიგბიორნსონი 60), ბიარნასონი, სტიგსონი, ადალსტეინსონი, ტ. იოჰანსონი (გ. სტეინსონი 60), გუდნასონი, ჰიუარტარსონი (ოლაფსონი 64)

**მსაჯი:** ვაგნერ ტარდელი (ბრაზილია)
35 000 მაყურებელი

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **III ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **პენიაროლი (ურუგვაი) 1:0 სან ლორენსო (არგენტინა)** | | | | | | |
| პენიაროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| ელ ნასიონალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| სან ლორენსო | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| რეალ პოტოში | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| **VI ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:0 მონტევიდეო უონდერერზი (ურუგვაი)** | | | | | | |
| **ემელეკი (ეკვადორი) 1:0 სანტიაგო უონდერერზი (ჩილე)** | | | | | | |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| მონტევიდეო უონდერერზი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სანტიაგო უონდერერზი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ემელეკი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| **VII ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:0 ტულუა (კოლუმბია)** | | | | | | |
| ამერიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| რივერ პლეიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ტალერესი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ტულუა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |
| **VIII ჯგუფი. III ტური** | | | | | | |
| **ფლამენგო (ბრაზილია) 0:0 ოლიმპია (პარაგვაი)** | | | | | | |
| **IV ტური** | | | | | | |
| **ონსე კალდასი (კოლუმბია) 3:0 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)** | | | | | | |
| ოლიმპია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ონსე კალდასი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ფლამენგო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





პელემ და რონალდომ კარგად თუ ითამაშეს, ეგებ ჰოლივუდშიც მიიწვიონ

# ბიჭებო, გინდათ კინოში?

**ყოფილ** საბჭოთა სივრცეში სამხრეთამერიკულ ტელესერიალებს მრავალი თვალი შესციცინებს. თვითონ სამხრეთ ამერიკაში, მაგალითად, ბრაზილიაში, მგონი, ვისაც ვიდეოკამერა და ერთი ოთახი აქვს, თავისუფლად შეუძლია სერიალის გადაღებაზე იფიქროს. პროდუქცია ბევრია და ნაირ-ნაირი, თუმც ბოლოს ყველაფერი მაინც მოსაწყენი ხდება.

ამ ამბავს უცბად აუღო ალღო უდიდესმა ბრაზილიურმა ტელეკომპანიამ „გლობომ". ტელევიზია ისეთი რამაა, თუ ცნობილი არ ხარ, დიდხანს შენი ყურებით თვალს არავინ დაიღლის. ამ ტელეკომპანიამ იმდენი იძრომიალა, რომ უცნობილესი ბრაზილიელები სერიალში თამაშზე დაითანხმა. სახელები კი იცოცხლე, ისეთია, ჭექა-ქუხილს გამოიწვევს: პელე, რონალდო, რომარიო, ჩოგბურთელი გუსტავო კუერტენი და კალათბურთელი ოსკარ შმიდტი.

პირველი ნაბიჯი, როგორც პირველმა მობურთალმა, პელემ გადადგა. სერიალების ბრაზილიელთა ტრფიალებმა მისი მონაწილეობით სცენა უკვე იხილეს წინა ორშაბათს. მოქმედება რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ ღარიბ უბანში ხდება. იქაური ლატაკნი სიხარულით ეგებებიან პელეს, როგორც გმირს. მერე არჩევენ ნაკრების შანსებს მომავალ მუნდიალზე და, რა თქმა უნდა, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ტეტრაკამპეონები ჩემპიონატს მოიგებენ. ამის შემდეგ კი იწყებენ სიმღერას ნაკრების ფეხბურთელებზე.

გუშინ, 8 მარტს, გადაიღეს სცენა, სადაც რონალდო საკუთარ თავს თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თებერვალში უძლეველ რობსონს მარტში წყალი შეუდგა



**გაზაფხულის** დადგომიდან ერთი კვირა გავიდა, არადა, „ნიუკასლს" მგონი, ის ერჩივნა, სულ თებერვალი ყოფილიყო. ბობი რობსონის გუნდმა მარტში ორჯერ ითამაშა და ჯერ „არსენალისგან" გაუშვა ორი ბურთი, მერე „ლივერპულისგან" სამი. თან ისე, რომ იმათ კარში ერთიც ვერ გაიტანა.

აი, თებერვალში კი „ნიუკასლი" ძალიან ძლიერი იყო. შინ, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" „ბოლტონი" და „საუთჰემპტონი" შემუსრა, ხოლო „ლაითზე" იქაურ „სანდერლენდს" სძლია ჩრდილოინგლისურ დერბიში. „ჯორდებმა" თებერვალშივე ინგლისის თასზე „მანჩესტერ სიტიც" დაჯაბნეს, ხოლო ამ გამარჯვებების გამო ბობი რობსონი პრემიერლიგის თვის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს — რა თქმა უნდა, თებერვლის თვისა, თორემ მარტში რა დღე დაადგა, უკვე ვთქვით.

ჯილდოს გადაცემისას „ბარქლიქარდის" წარმომადგენელმა თქვა: „ბობი რობსონმა მიმდინარე სეზონში „ნიუკასლ იუნაიტედს" ახალი სული შთაბერა. თებერვალში „ჯორდები" მართლაც შეუდარებელნი იყვნენ და მათი მენეჯერი უთუოდ იმსახურებდა ამ ჯილდოს".

„ბარქლიქარდი" კი, მოგეხსენებათ, პრემიერლიგის სპონსორი და აღნიშნული დაჯილდოვების მომწყობი ფირმაა.

**ნიკა შუბლაძე**

## აბა, პასპორტი მაჩვენე!



ნაჩო გონსალესი

# ნაღდი მეგოლის ყალბი პასპორტი

**ნაჩო გონსალესი** არგენტინელი ბიჭია. იგი ესპანური „ლას პალმასის" კარის დარაჯია და არა მხოლოდ — მეტოქე კოლეგებს თერთმეტმეტრიანებით აფწარებს, ანუ გუნდის შტატიანი პენალტისტია.

მწუხარებით ვიუწყებით, რომ ნაჩო ამიერიდან კარის დაცვას, ისევე როგორც პენალტების გატანას, „ლას პალმასში" ველარ შეძლებს.

როგორც ევროპაში მოთამაშე არგენტინელთა უმრავლესობას, მასაც იტალიური პასპორტი ჰქონია. იტალიური პასპორტი კი, მოგეხსენებათ, ევროპელობას ნიშნავს. თუმც პასპორტის ორი სახეობა არსებობს, ნამდვილი და ყალბი.

ჩვენს გმირს, ნაჩო გონსალესს, პასპორტი იტალიაში, გენუაში აუღია. ვისთან და როგორ გააჩერხა ეს საქმე, იმათ შეიტყვეს, ვინც ყალბპასპორტიანებს ამხელს — პოლიციამ. ჰოდა, ნაჩო გონსალესიც ამხილეს, ამ ამბავს კი, როგორც ცნობილია, პასპორტის ჩამორთმევა და სამშობლოში გაბრუნება მოჰყვება.

„ლას პალმასის" ორი სხვა მოთამაშე, ბრაზილიელები ალვარო და ბაიანო, შარშან ასეთსავე საქმეზე გაბაწრეს. პირველი ახლახან, იანვარში დაბრუნდა ესპანეთში, მეორე კი „ატლეტიკო მინეიროში" ბურთაობს.

**ვაჟა ხუციშვილი**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის,
№1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33


## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „კიევოს" პრეზიდენტმა ლუკა კამპედელიმ განაცხადა, რომ წინა შაბათს ავტოკატასტროფაში დაღუპული ჯეისონ მაიელეს პატივსაცემად კლუბში 30-ნომრიან მაისურას ამიერიდან ვერავინ მოირგებს. „ვფიქრობ, ეს სწორი ნაბიჯია. მისმა სიკვდილმა გული ძალიან დაგვწყვიტა. ყველანი შოკში ვართ" — თქვა კამპედელიმ.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბი „ბარნლი" მოლაპარაკებას აწარმოებს „ევერტონთან" პოლ გესქოინის იჯარით აყვანის თაობაზე. „ბარნლის" სურს, ფეხბურთელი ზაფხულამდე ინათხოვროს, ხოლო თუ კლუბი პრემიერლიგაში გადავა, მაშინ კონტრაქტის გახანგრძლივებაც შესთავაზოს. შეგახსენებთ, რომ გესქოინი „ევერტონში" იშვიათად თამაშობს და კლუბიც მასთან კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. „ბარნლის" გარდა გესქოინით ამერიკული და არაბული კლუბებიც არიან დაინტერესებულნი.

**პარაგვაის** შინაგან საქმეთა სამინისტრომ როგორც იქნა, ქვეყანაში მუშაობის უფლება მისცა ეროვნული გუნდის იტალიელ თავკაც ჩეზარე მალდინის და მის თანაშემწე ჯუზეპე დოსენას. მწვრთნელები დღე-დღეზე ჩავლენ პარაგვაიში და ნაკრებს მომავალი ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებენ. მეტოქე ნიგერიის ნაკრები იქნება, შეხვედრა კი 26 მარტს, ლონდონში გაიმართება.

**კოლუმბიაში** ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მოკლეს ბოგოტას „ინდეპენდიენტეს" ადმინისტრატორი სესარ ვილეგა. მკვლელებმა ვილეგას შვიდი ტყვია ესროლეს და მოტოციკლეტით მიიმალნენ. ამის გამო რამდენიმე ქვეყნის კლუბმა უკვე განაცხადა, ლიბერტადორესის თასის მატჩების გასამართად კოლუმბიაში არ ჩავალთო.

**ესპანური** „დეპორტივოს" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმ ყოფილ კლუბ „ტენერიფეს" სასამართლო პროცესი მოუგო, რომელიც უკვე სამი წელია, გრძელდებოდა. კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, სხვა კლუბში გადასვლის შემთხვევაში ფეხბურთელს სატრანსფერო თანხის 20 პროცენტი უნდა მიეღო, თუმც „ტენერიფე" აქამდე თანხის გადახდას.

**იუგოსლაველი** თავდამსხმელი პრედრაგ რანჯელოვიჩი მოსკოვის ცსკა-დან წავიდა და სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. „ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე მივხვდი, რომ ცსკა-ს ჩემი გაყიდვა სურდა, ამიტომაც „ზენიტის" წინადადებაზე წუთითაც არ დავფიქრებულვარ" — თქვა რანჯელოვიჩმა.

**ინგლისური** „ლიდს იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ბოლო ექვსი თვის მანძილზე კლუბმა 13.8 მილიონი გირვანქა იზარალა, ამიტომ არ არის გამორიცხული, თუ კრიზისი კვლავ გაგრძელდა, სეზონის ბოლოს იძულებული გახდეს, ზოგიერთი წამყვანი მოთამაშე გაყიდოს. „ძირითად შემოსავალს საზაფხულო ტრანსფერებიდან ველით" — თქვა კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვის გაყიდის. შეგახსენებთ, რომ აქამდე სამი ლიდსელის — მარკ ვიდუკას, ჰარი კიუელის და ოლივიე დაკურის გაყიდვაზე იყო ლაპარაკი.

**რუმინული** „სტიაუას" 25 წლის ფორვარდი იონელ დანჩულესკუ ბუქარესტისავე „დინამოში" გადავიდა. „დინამომ" მის სანაცვლოდ 350 ათასი დოლარი გაიღო. საინტერესოა, რომ დანჩულესკუ 1995-97 წლებშიც თამაშობდა „დინამოში". შემდეგ თურქულ „ალთაიში" გადავიდა და იქიდან მოხვდა „სტიაუაში".

**მოლდოვურმა** „შერიფმა", რაც სეზონი დაიწყო, უკვე მესამე მწვრთნელი გამოიცვალა. ფეხბურთელებთან კონფლიქტის გამო გუნდიდან ამჯერად უკრაინელი სპეციალისტი ალექსანდრ გოლოკოლოსოვი დაითხოვეს. მის მაგივრად „შერიფში" მუშაობას მეორე უკრაინელი, იგორ ნაკონეჩნი შეუდგა.

**იტალიაში** ხუან სებასტიან ვერონის ყალბ პასპორტთან დაკავშირებული სასამართლო პროცესზე ჩვენება „ლაციოს" პრეზიდენტს, სერჯო კრანიოტის უნდა მიეცა. მოსამართლე ბრუნო კონსტანტინმა მიიჩნია, რომ კრანიოტისთვის ბრალდების წაყენებისას საპროცედურო ნორმები დაირღვა, ამიტომ „ლაციოს" პრეზიდენტს ჩვენების მიცემა აღარ დასჭირდა.

**შვეიცარიული** „ლუგანოს" პრეზიდენტი ელიო ჟერმინი, სოფელ ბრუზინოს მახლობლად, ტბასთან, საკუთარ მანქანაში დამხრჩვალი იპოვეს. როგორც 63 წლის პრეზიდენტის მეგობრებმა განაცხადეს, იგი მილანში მიემგზავრებოდა. შვეიცარიული პრესა ეჭვობს, რომ მისი სიკვდილი კლუბის ვალებთანაა დაკავშირებული. ვალი კი დაახლოებით 8 მილიონ ევროს შეადგენს.

**იაპონიაში** მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის 20 მილიონი ევრო გაიღო. თითოეულ მატჩს წესრიგის დასაცავად 700 პოლიციელი მოემსახურება.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის" მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა განაცხადა, რომ გუნდში იური ნიკიფოროვის გადაყვანით არის დაინტერესებული. ნიკიფოროვი უკრაინაში დაბადებული რუსეთის მოქალაქეა. 31 წლის მცველს მოსკოვის „სპარტაკში" და ესპანურ „სპორტინგში" უთამაშია. ამჟამად, კი ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" ღირსებას იცავს.

**იტალიურმა** „მილანმა", ჩეზარე მალდინის რეკომენდაციით, კონტრაქტი გაუფორმა პარაგვაელ მცველ კარლოს გამარას. მოგეხსენებათ, ჩეზარე მალდინი პარაგვაის ნაკრებს თავკაცობს, ხოლო კარლოს გამარა ამჟამად ათენის აეკ-შია იჯარით, „მილანში" კი მომავალი სეზონიდან ითამაშებს.

**ესპანურმა** „ვალენსიამ" ფორმის შეცვლა განიზრახა, რაც მომავალ სეზონში მოხდება. უფრო მეტი იქნება თეთრი და სტაფილოსფერი, ხოლო შავი ფერი მკვეთრად იკლებს. „ვალენსიას" აღარ ეყოლება სპონსორი „მეტრორედი" და შესაბამისად, ფორმას მისი ლოგო არ დაამშვენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბის მეპატრონეებს ახალი პარტნიორის ძებნა მოუწევთ.

**იტალიის** საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის არჩევნებზე, მილანში, სერჯო კრანიოტი ახალი იდეით გაემგზავრა. მას საფეხბურთო ლიგის ნაცვლად პრემიერლიგის შექმნა სურს. „დიდი ბრძოლა მელის — თქვა კრანიოტიმ — თუმც, შევეცდები, დამსწრენი ჩემი პროექტის სისწორეში დავარწმუნო".

**ხორვატიისა** და ირანის ნაკრებების ყოფილ მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს სასჯელი ემუქრება. ამჟამად იგი სამშობლოში მუშაობს და ადგილობრივ „ოსიეკს" თავკაცობს. მისმა გუნდმა ზაგრების „დინამოსთან" თამაში წააგო, ხოლო ბლაჟევიჩს, „ოსიეკის" კარში დანიშნული პენალტის გამო, მსაჯისთვის წაუთაქებია. მომხდარს ფეხბურთის ფედერაციაში გაარჩევენ, თვითონ ბრალდებული კი ხელის გარტყმის ფაქტს უარყოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარია ჯერ სიზმარია
## მარტინა განმაძაღლისუფლებელი


AP ინდიან უელსიდან

მონიკა სელეში

**ინდიან უელსი. ჰარდი
საპრიზო 2,1 მილიონი $**

**პირველი წრე**

**კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:2 (ბრანდიმ შეწყვიტა); ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:3, 6:1; ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:4; ანა სმაშნოვა (ისრაელი) — მელისა მიდლტონი (აშშ) 6:4, 6:3; ემი ფრეზერი (აშშ) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:3; ვირჯინია რაცანო (იტალია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:5), 6:1; ემანუელ გალიარდი (შვეიცარია) — აზა სვენსონი (შვედეთი) 6:4, 6:0**

**მეორე წრე**

**მონიკა სელეში (2, აშშ) — მარია შარაპოვა (რუსეთი) 6:0, 6:2; მეგენ შონესი (6, აშშ) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:2, 6:4**

### შესავლად

ინდიან უელსის ტურნირი მდელრიონში დიდი სლემისა და კი ბისკეინის ტურნირების შემდეგ მე-6 უბობოლესი შეჯიბრი გახლავთ. მასში მონაწილე 64 მჩოგნე ქალი ერთმანეთს გამორჩეულ პატივსა და 2,1-მილიონდოლარიანი საპრიზო ფონდიდან მსუყე-მსუყე ნაჭრებს ეცილება ხოლმე. წლევანდელ ტურნირს ქალთა უპირველესი ათეულის ერთბაშად ხუთი წარმომადგენელი გამოაკლდა: აქედან ლინდსი დევენპორტი (5) მარჯვენა მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ჯერაც ვერ მოკეთებულა, ვინუს და სერენა უილიამსები (1 და 6) და ჯენიფერ კაპრიატი (2) გვიანმარტში მაიამის 2,8-მილიონიან ტურნირზე გამოსვლას არჩევენ, ხოლო ფრანგი ამელი მორესმო ჩოგნის ქნევას სულაც აპრილამდე არ აპირებს.

ამა თუ იმ ტრავმის გამო კალიფორნიაში ჩასვლა ვერც ისეთმა სახელიანმა მჩოგნეებმა მოახერხეს, როგორებიც მარი პირსი (საფრანგეთი), ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) და ჩანდა რუბინი (აშშ) არიან.

და კიდევ — შარშან აქ სერენა უილიამსმა იმარჯვა. ფინალში მან ბელგიელ კიმ კლაისტერსს მოუგო.

### მონიკამ მარიკა და არა პირიქით

წლევანდელი ტურნირის უპირველეს სენსაციად მასზე ნორჩი რუსის, მარია შარაპოვას გამოჩენა იქცა. ქერათმიანი, გრძელფეხება და ეშხიანად მოთამაშე ეს ციმბირელი გოგონა ისე საოცრად ჩამოჰგავს მის უფროს თვისტომ ანა კურნიკოვას (ხოლო ხასიათის სიმტკიცით თითქოს კიდეც უნდა სჯაბნიდეს მას), რომ გუშინ ყველა ჩოგბურთზე მწერალი თავის ინდიანუელსურ უსტარს სწორედ მის შესახებ წერით იწყებდა. ამ ხალხის საერთო დასკვნა ისეთი იყო, რომ მარიაზე წერა სამომავლოდ ყველას პროფესიულ ჩვევად უნდა გადაექცეს. ამასთან მწერლები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ამგვარი ჩვევის შეძენის წინააღმდეგ არავის არაფერი მოეპოვება...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პირველ წრეში ამერიკელი ბრაი რიპნერის ძლევამ ქერამარია მეორეში მონიკა სელეშს დააჯახა. მატჩი 16-ათასიან ცენტრალურ კორტზე გაიმართა და 9-გზის მედიდსლემე იუგოამერიკელმა ცუგრუმელა მეტოქეს 59 წუთში განუმარტა, რომ მას ჯერ კიდევ ძალზედ ბევრი რამის სწავლა სჭირდება. ჩოგნის მეტ-ნაკლებად საკადრისად შებრუნება რუსგოგომ მხოლოდ პირველ სეტში პირველ გეიმსა და მეორე სეტში მეხუთე გეიმამდე (2:2) მოახერხა. მისმა აგრესიულმა და ბადესთან მიძალებულმა თამაშმა გადაჭედილ კორტს არაერთხელ აღტაცებული ყიჟინაც გამოსტაცა. 13 მომგებიანი დარტყმის გვერდით მას 30 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა, ხოლო სელეშმა 20 მოიგები ჩაიგდო და 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

„სწორედ დღეს მივხვდი, თუ რამხელა განსხვავებაა იუნიორსა და პროფესიონალს შორის... ძალიან, ძალიან დიდი — ამბობდა ნამატჩევს შარაპოვა, თუმცა თავის პირველ „პროფესიონალურ მარცხს“ მაინც არაჩვეულებრივი ღიმილით ასანდომიანებდა — იმასაც მივხვდი, რომ საიმისოდ, რათა ნამდვილი პროფი გავხდე, ვარჯიში და კონცენტრირება მჭირდება... ამ მატჩს კი არასოდეს დავივიწყებ... მე უდიადესი პროფის წინააღმდეგ ვითამაშე და მგონი, ცუდად არ გამომსვლია. შიშის ნატამალი არ მიგრძვნია, გავედი და ვითამაშე, როგორც შემეძლო... მე არასოდეს ვფიქრობ წაგებაზე, მე არასოდეს ვნებდები“.

თავისზე ორჯერ უმცროსი კოლეგის ამ თამამ სიტყვებს სელეში ასევე ჰალალი ღიმილით უსმენდა: „თავისი ასაკისთვის ის მართლაც არაჩვეულებრივად თამაშობს. კორტსაც დიდებულად ხედავს და ორივე მხრიდანაც მძლავრად ურტყამს“ — თქვა მან.

სხვაფრივ — წინა უქმეებზე აკაპულკოს მომგები კატარინა სრებოტნიკი თავისი ზედიზედ მესამე (ბოგოტისა და აკაპულკოს შემდეგ) ფინალის საძიებელ გზაზე მაჯის ქრონიკული ამოვარდნილობით გატანჯულ კრისტინა ბრანდის გასცდა.

ქვიშიან გრიგალში მოუხდა გერმანელი მარტინა მიულერის გავლა „დღის მეორე განთესილ“ მეგენ შონესის. გამარჯვებას კვლავ გაუგო გემო 25 წლის ებრაელმა ანა სმაშნოვამ, ვისაც ადრესეზონში ოკლენდისა და კანბერის ტურნირებზე გამარჯვების შემდეგ კინკილა შეხვედრაც აღარ მოეგო.

და ორიოდე სიტყვა ბებრებზეც — ამერიკელ ემი ფრეზერსა და ხორვატ ივა მაიოლზე. პირველს ჯერ კიდევ 1990 წლის ინდიან უელსის ნახევარფინალში უთამაშია და, ვინძლო, ღამ-ღამობით ბალიშში თავჩარგული იმ წარმატების განმეორებაზე ოცნებობდეს. მეორეს კი 1997-ში როლან გაროსის მოგების შემდეგ ერთი ტიტულიც აღარ ღირსებია და ამ დღეებში მაინცდამაინც რომელიმე მხურვალე ხვადაგზე არც ეგ უნდა ფიქრობდეს.

### ჰინგისის სამი ვარიანტი

ტურნირზე მეორე ნომრად განთესილ მარტინა ჰინგისს ხუთშაბათს, წყვილთა თამაშის დაწყებამდე გავარჯიშებისას მარჯვენა მაჯა უტკენია და საწყვილოსნო ტურნირს გამოთიშია. გუშინ იგი იქაურ დასტაქრებს უნდა გაესინჯათ და სწორედ მაშინ გაირკვეოდა, შეძლებდა თუ არა წლევანდელი ავსტრალიის მეფინალე და ორი ტურნირის გამარჯვებული ერთეულთა ასპარეზზე დარჩენას.

პირველ წრეში თამაშისაგან გათავისუფლებულს მას პირდაპირ მეორეში ხორვატ სილვია ტალაისთან ან წუხელ უნდა ეთამაშა ანაც დღეს ითამაშებს. არის მესამე ვარიანტიც — მარტინა ზეათეულის იმ, შესავალში მოხსენიებულ ბობოლებს შეუერთდეს, წლევანდელ ინდიან უელსს ამა თუ იმ მიზეზის გამო რომ აკლდებიან.

### ნავრატილოვას ძაღლებიც ნაყვარება

18-გზის მედიდსლემესა და დაუდეგარ დედათმავალ მარტინა ნავრატილოვას თურმე ძაღლებიც მაგრად ნაყვარება. ინდიან უელსში იგი წყვილთა შეჯიბრში მონაწილეობს და გუშინ, როცა კორტზე შესვლას თავის ძაღლთან ერთად აპირებდა, ორგანიზატორთა ფიცხელ წინააღმდეგობას წააწყდა. WTA-ს წესების თანახმად ძაღლებს, კატებს, ვირთხებს და სხვა ეგეთ მოშინაურებულ პირუტყვებს უფლება არა აქვთ, მოთამაშის გასახდელში, სავარჯიშო-სამასაჟო ოთახსა თუ სასადილოში ილაბუცონ. წესებში არაფერი წერია საძინებლებსა და მისთანა ინტიმურ ალაგებზე, მაგრამ რაც წერია, ისიც საკმარისი გახლდათ, რათა ნავრატილოვას ძაღლი სასტუმროში გაებრუნებინათ.

მარტინა აღშფოთებას ვერ მალავდა: „კორტის შესასვლელთან ისე შემაყენეს, თითქოს ტერორისტი ვიყო და რამის აფეთქებას ვაპირებდე. ეს ძაღლი ჩემი ოჯახია და მას ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს, როგორიც ოჯახის ადამიან წევრებსა აქვთ. თუკი ტურნირის ორგანიზატორები ჩემი ძაღლის მიმართ თავიანთ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას არ შეცვლიან, ტურნირში მონაწილეობაზე უარს ვიტყვი... ბოლო-ბოლო, თუკი აქ არის ოთახი კომპიუტერებისთვის, ოთახი ბავშვებისთვის და ასე შემდეგ, რატომ არ შეიძლება იყოს ოთახი ძაღლებისთვის“. ნავრატილოვას ამ სიტყვებზე იქ ყურიც არავის შეუბერტყავს.

ისე კი, ოთხფეხა მეგობრებით ტურნირებზე სხვა მჩოგნე ქალებიც მოგზაურობენ. მაგალითად, ვინუს უილიამსს ყველგან დაჰყავს ძაღლი პიტი, რომელსაც სახელი პიტ სამპრასის პატივსაცემად დაარქვა, ხოლო საფრანგეთის ღია პირველობის სამგზის გამარჯვებული არანჩა სანჩეს-ვიკარიო ფეხს ისე არ გაადგამს, თან ორი ძაღლი — როლანი და გაროსი თუ არ წაიყვანა. ოღონდ ამათი უშუალოდ კორტზე შეთრევის მცდელობა ჯერ არც ერთს არ ჰქონია. ნავრატილოვა ამ საშვილიშვილო საქმეში პირველი გახლავთ.


AP ინდიან უელსიდან

ახალი ახალი რუსი: მარია შარაპოვა


AP სკოტსდეილიდან

უეინ ფერეირა

**სკოტსდეილი. ჰარდი
საპრიზო 400 ათასი $**

**მეორე წრე**

**უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — პიტ სამპრასი (3, აშშ) 7:5, 7:5; კარლოს მოია (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:2; რაინერ შიუტლერი (გერმანია) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:0, 2:6, 6:1; ქსავიე მალისი (7, ბელგია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 7:6 (8:6)**

უეინ ფერეირა და პიტ სამპრასი 31-31 წლისანი არიან, სიმაღლეში ორივე 185 სანტიმეტრს ითვლის, წონითაც ორივე სადღაც 80-80 კილოს ფარგლებში მერყეობს და გუშინდლის შემდეგ მათი პირადი ანგარიში 6:6 გახდა.

განსხვავება ძირითადად სხვა რამეშია — პირველს მხოლოდ 14 საკარიერო ტიტული აქვს და ჯამში 8 მილიონ 908 ათას 466 დოლარი მოუგია, მეორეს კი საკარიერო 63 ტიტულმა 42 მილიონ 93 ათას 190 დოლარი მოუტანა. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულშია, აწმყოში კი სამხრეთაფრიკელს ჩემპიონთა რბოლაში 63 ქულა აქვს და მე-17 ადგილზეა, ხოლო მასზე ორჯერ ნაკლები მონაგრის მქონე სამპრასს მხოლოდ 49-ე ადგილი უკავია.

მოკლედ, ფერეირამ გუშინ მოიგო და ამის გაკეთება ორსავე სეტში მე-11 გეიმების მოგებით მოახერხა. აშკარად ჩანდა, რომ 13-გზის მედიდსლემე ეგრეთც ვერაფრით შეეგუა მაღალმთიანი უდაბნოეთის ჰავას — აკი სკოტსდეილში მისი ხუთივე მცდელობა მარცხით დასრულდა და თანაც ისე, რომ პიტმა მეორე წრეს ვერც ერთხელ ვერ გაალწია.

„იგი მსოფლიოს საუკეთესო მჩოგნედ მიიჩნევა. და განა არის რამე იმაზე უფრო სასიამოვნო, კარიერის განმავლობაში მას 6 შეხვედრა მოუგო. როცა ჩემი შვილები გაიზრდებიან, მე მათ ვეტყვი, ხოლო მერე ისინი თავიანთ შვილებს გადასცემენ, რომ უეინ ფერეირამ ჩოგანი პიტ სამპრასთან ჯამში წაუგებლად ჩამოკიდა!“ — აფრიკელის ამ ნამატჩევ სიტყვებს დამსახურებული სიამაყის პეწი დაჰკრავდა. (საერთოდ კი, საქმის მცოდნე ხალხი ფერეირას ამ აგელისხმილერებას მის ახალ მწვრთნელსა და ოდინდელ პროფესიონალ იოჰან დე ბეერის მიაწერს. ამბობენ, თვისტომს თამაში სწორედ მაგან გააუმჯობესებინაო).

პიტს კი რა უნდა ეთქვა — ჯერ, არიზონის მთაუდაბნო დედაცო, ვგრე თქვა, მერე კი, რას იზამ, უეინმა დღეს ტოლი არაფერში დამიდოო, აი, ასე მოწყენილად დაამატა.

ახლა ფერეირა ქსავიე მალისს შეხვდება. ტურნირის უკანასკნელ მეოთხედფინალში კი მაყურებლები მოია — შიუტლერის შეხლას იხილავენ. მალისმა პირველ სეტში 4 სეტბურთი გადაარჩინა და სეზონის მეორე მეოთხედფინალში შეაჭრა, გერმანელი კი წელს უკვე მეხუთე მეოთხედფინალში ითამაშებს. მისი და წინა უქმეებზე აკაპულკოს ამტუტებელი კარლოს მოიას შეხვედრა კაი რამ სახილველი უნდა იყოს — ერთიც ჩაუქ ფორმაში გახლავთ და მეორეც და მაგიტომ!

**დელრეი ბიჩი. ჰარდი
საპრიზო 400 ათასი $**

**მეორე წრე**

7 მარტი. ხუთშაბათი

**ჟან-მიშელ გამბილი (2, აშშ) — მერდი ფიში (აშშ) 6:3, 6:7 (2:7), 6:1; ანდრე სა (ბრაზილია) — ლარს ბიურგსმიულერი (6, გერმანია) 7:6 (8:6), 7:5; ენთონი დიუპუი (საფრანგეთი) — იარკო ნიმინენი (7, ფინეთი) 2:6, 7:6 (9:6), 6:1; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — მაიკლ რასელი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4**

8 მარტი. პარასკევი

**მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — მარკუს ჰიპფლი (8, ავსტრია) 6:3, 6:4; დავიდე სანგვინეტი (5, იტალია) — კრისტიან პლესი (დანია) 6:3, 6:2**

პარასკევის დანარჩენი შეხვედრები შხაპუნა წვიმის გამო გადაიდო

**ლევან ძელაურაძე**

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 18.30 | 001 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 002 | ბაიერნი-მიუნხენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 004 | ლევერკუზენი-კოტბუსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 005 | ჰს. ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.30 | 006 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.30 | 007 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 009 | დორტმუნდი-გლადბახი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 010 | დორტმუნდი-გლადბახი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 20.30 | 011 | შალკე-შტუტგარტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 012 | ჰერტა-[illegible] | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 17.00 | 016 | ბაბელსბერგი-ჰანოვერი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-მაინცი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 018 | ზაარბრიუკენი-ალემანია | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.00 | 019 | აინტრახტი-უნიონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 020 | ალენი-ობერჰაუზენი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 23.15 | 021 | არმინია-ფიურტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIV ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-ვუპერტალი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 17.00 | 030 | დრეზდენი-მიუნსტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.00 | 031 | ფორტუნა-ვერდერი (მ) | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 17.00 | 032 | ფერლი-ესენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 033 | ლიუბეკი-[illegible] | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 034 | ლიუბეკი-[illegible] 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 17.00 | 035 | ურდინგენი-ბრაუნშვაიგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 17.00 | 036 | ქემნიცი-კილი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.00 | 037 | მაგდებურგი-ლევერკუზენი (მ) | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 029 | პადერბორნი-დიუსელდორფი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIV ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 17.00 | 039 | ერფურტი-მანჰაიმი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 040 | რეგენსბურგი-[illegible] | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 041 | რეგენსბურგი-[illegible] 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 17.30 | 042 | [illegible]-ტრირი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 043 | კიკერსი-ელვერსბერგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 044 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი (მ) | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 045 | ზიგენი-ოფენბახი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 046 | კაიზერსლაუტერნი (მ)-ანსბახი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 047 | ბაიერნი (მ)-აალენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 19.00 | 059 | ლესტერი-ჩარლტონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 16.00 | 074 | ბირმინგემი-უოლვერჰემპტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 16.00 | 075 | პორტსმუთი-მილუოლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 076 | ბარნსლი-შეფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 077 | ქოვენტრი-ნორვიჩი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 078 | კრისტალ პალასი-უოტფორდი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 079 | გრიმსბი-[illegible] | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 080 | ნოტინგემი-უიმბლდონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 081 | პრესტონი-როტერჰემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 082 | უოლსოლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 083 | სტოკპორტი-ბერნლი | 4,7 | 3,5 | 1,55 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 19.00 | 097 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 098 | ბრაიტონი-კემბრიჯი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 099 | ბრაიტონი-კემბრიჯი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 100 | ბერი-ნოტსი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 101 | კარდიფი-ბლეკპული | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 102 | ჰადერსფილდი-სუინდონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 103 | პიტერბორო-კოლჩესტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 104 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 105 | ქუინს პარკ-[illegible] | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 106 | რედინგი-ბრენტფორდი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 107 | უიგანი-ოლდჰემი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 108 | რექსჰემი-ბრისტოლი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 109 | უიკომბი-სტოკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 19.00 | 124 | კარლაილი-სვონსი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 125 | ჩელთენჰემი-იორკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 126 | დარლინგტონი-[illegible] | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 127 | ჰარტლპული-[illegible] | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 128 | ჰალი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 129 | [illegible] | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 130 | [illegible] | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 131 | მენსფილდი-ექსეტერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 132 | რაშდენი-ლუტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 133 | შრუსბერი-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 134 | შრუსბერი-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 135 | საუთენდი-როჩდეილი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 136 | ტორკი-ლინკოლნი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 23.45 | 147 | [illegible]-ბორდო | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 21.00 | 158 | გენიონი-ნანსი | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| | | **იტალია. სერია "ა". XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.30 | 159 | ინტერი-იუვენტუსი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 160 | ატალანტა-ლეჩე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 18.00 | 161 | ბოლონია-მილანი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 162 | ფიორენტინა-ვენეცია | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 163 | პიაჩენცა-პერუჯა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 164 | ტორინო-კიევო | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 18.00 | 165 | უდინეზე-ბრეშა | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 18.00 | 166 | ვერონა-პარმა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.30 | 167 | ლაციო-რომა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| | | **იტალია. სერია "ბ". XXVII ტური** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 169 | ბარი-ვიჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 170 | კალიარი-ემპოლი | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 171 | ჩიტადელა-ჯენოა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 172 | კროტონე-პალერმო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 173 | რეჯინა-[illegible] | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 174 | სალერნიტანა-ნაპოლი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 18.00 | 175 | სამპდორია-ანკონა | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 18.00 | 176 | სიენა-მესინა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 23.45 | 177 | მოდენა-კოზენცა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **იტალია. სერია "ც1-ა". XXVI ტური** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.30 | 178 | ჩეზენა-ალცანო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 17.30 | 179 | ლუმეცანე-არეცო | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 17.30 | 180 | მონცა-კარარეზე | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 17.30 | 181 | პიზა-ვარეზე | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 17.30 | 182 | რეჯანა-ლეკო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 183 | სპეცია-სპალი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 17.30 | 184 | ტრევიზო-ალბინოლეფე | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 17.30 | 185 | ტრიესტინა-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 23.30 | 186 | პადოვა-ლივორნო | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| | | **იტალია. სერია "ც1-ბ". XXVI ტური** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.30 | 187 | აველინო-ასკოლი | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 17.30 | 188 | ბენევენტო-ტერამო | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| 17.30 | 189 | კატანია-ტარანტო | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 17.30 | 190 | ფერმანა-ვიტერბეზე | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 191 | [illegible]-ლანჩანო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 192 | [illegible]-დი სანგრო | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 17.30 | 193 | [illegible] | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 194 | [illegible]-ნოჩერინა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 17.30 | 195 | სორა-[illegible] | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.00 | 196 | რეალი-ვილიარეალი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 197 | რეალი-ვილიარეალი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.30 | 198 | ბეტისი-ბარსელონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 00.30 | 199 | დეპორტივო-რაიო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 200 | დეპორტივო-რაიო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 01.00 | 201 | ლას პალმასი-ალავესი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 20.00 | 202 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 203 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 204 | მალაგა-სარაგოსა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 205 | ვალენსია-სევილია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 206 | მაიორკა-ოსასუნა | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 23.00 | 207 | სოსიედადი-ტენერიფე | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 21.30 | 208 | ატლეტიკო-ნუმანსია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 209 | ატლეტიკო-ნუმანსია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 15.00 | 210 | [illegible] | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 211 | [illegible] | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 212 | [illegible] | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 20.00 | 213 | რასინგი-ლეგანესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 214 | რასინგი-ლეგანესი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 215 | ექსტრემადურა-სალამანკა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 20.00 | 216 | ოვიედო-ელჩე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 20.00 | 217 | პოლი ეხიდო-ბადახოსი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 20.00 | 218 | მურსია-ალბასეტე | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 20.00 | 219 | ელჩე-კორდობა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 20.30 | 220 | ხერესი-ეიბარი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 22.00 | 222 | ბრაგა-ბოავისტა | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 01.00 | 223 | ჟილ ვისენტე-ბენფიკა | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 20.00 | 224 | ალვერკა-ბეირა მარი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 225 | ლეირია-სალგეიროსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 226 | ფარენსე-ვარზიმი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.00 | 227 | ფელგეირასი-[illegible] | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.00 | 228 | სანტა კლარა-სპორტინგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| | | **11 მარტი** | | | |
| 00.30 | 229 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXVI ტური** | | | |
| | | **10 მარტი** | | | |
| 19.00 | 230 | ოლივეირენსე-ოვარენსე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 231 | რიო ავე-ნასიონალი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 232 | ესპინიო-ავეში | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 233 | შავეში-ამადორა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.30 | 234 | ლეიშოესი-აკადემიკა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 235 | პორტიმონენსე-პენაფიელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 236 | კამპომაიორენსე-ნავალი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 237 | მაია-ფელგეირასი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.00 | 238 | ლეცა-მოირეირენსე | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVII ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 22.30 | 240 | სპარტა-გრონინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 241 | დენ ბოსხი-ბრედა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 242 | აზ-როდა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 243 | აზ-როდა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 22.30 | 244 | ჰერენვენი-ვალვეიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 245 | ვიტესე-ტვენტე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.30 | 246 | ნაიმეგენი-ტილბურგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 247 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 248 | ფეიენოორდი-ალკმაარი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 249 | აიაქსი-გრაფსხაპი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 250 | აიაქსი-გრაფსხაპი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 22.00 | 256 | ჰერაკლესი-ვოლენდამი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 257 | ტელსტარი-იგლსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.30 | 258 | ემენი-როზენდალი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 22.30 | 259 | ოსი-დენ ჰაგი | 3,5 | 3,3 | 1,8 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 23.00 | 263 | ბევერენი-მოლენბეკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 264 | ლოკერენი-სტ. ტრუიდენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 265 | უესტერლო-მუსკრონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 266 | ლიერსი-აალსტი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.00 | 267 | ანდერლეხტი-ლომელი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 268 | ანდერლეხტი-ლომელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 269 | ანტვერპენი-სტანდარდი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 18.00 | 270 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 271 | ბრიუგე-ბეერსხოტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXVIII ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 22.30 | 272 | [illegible] | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 273 | [illegible] | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 274 | ვირტონი-[illegible] | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 275 | [illegible] | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 276 | [illegible] | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 277 | [illegible] | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 18.00 | 278 | [illegible] | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 279 | ტუბიზი-[illegible] | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 280 | [illegible] | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **საბერძნეთი. XIX ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 20.00 | 281 | არისი-პანათინაიკოსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.00 | 282 | პანიონიოსი-იონიკოსი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 17.00 | 283 | პანაჰაიკი-აკრატიტოსი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 284 | ეგალეო-პაოკი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 19.00 | 285 | ეთნიკოსი-ირაკლისი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 286 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.00 | 287 | აეკ-ოფი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 288 | აეკ-ოფი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| | | **ჩეხეთი. XXI ტური** | | | |
| | | **9 მარტი** | | | |
| 20.00 | 291 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 292 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 17.30 | 293 | ოპავა-ჰ. კრალოვე | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 19.30 | 294 | ტეპლიცე-ბანიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 295 | სპარტა-სიგმა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 296 | სპარტა-სიგმა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| | | **10 მარტი** | | | |
| 17.30 | 297 | ბლშანი-[illegible] | 3,4 | 3,2 | 1,95 |



მანუჩარ მარკოიშვილი: ქართული კალათბურთის მომავალი ბებერმა ბალტიელებმა გამოსცადეს

# მარკოიშვილს კურტინაიტისმა ცოტათი აჯობა

**შარშან** იყო, „ბასკომ" ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგაში (NEBL) რომ მოსინჯა ძალა და საერთაშორისო სარბიელზე დებიუტისთვის, არცთუ ურიგოდ. გახსოვებათ, ბათუმურ ტურში „ბასკომ" იმარჯვა კიდეც. ახალ გათამაშებაში მონაწილეობას ჩვენმა ჩემპიონმა, მართალია, თავი აარიდა, მაგრამ NEBL-ის ახალგაზრდულ ტურნირში მაინც წარდგა.

ახალგაზრდულ ტურნირში (1985 წელს დაბადებული ბიჭებისთვის) 16 გუნდი ასპარეზობს, რომელთაგან ექვსი საუკეთესო ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებს. შესარჩევი სტადია (სამ ტურად) შარშანდელ დეკემბერს დაიწყო. პირველი ტური რუსეთში, სანკტ პეტერბურგში გაიმართა და ბათუმელებმა იქ ჩინებულად ითამაშეს — ხუთივე შეხვედრა მოიგეს. მეორე ტურის მატჩებს ახლახან ესტონეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. ახალგაზრდულმა „ბასკომ" ტალინში სამი თამაში მოიგო და ორი წააგო. შესარჩევის დასკვნითი ტურის წინ, რომელიც მარტის ბოლოს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში შედგება, ბათუმელი კალათბურთელები მეორე ადგილზე იმყოფებიან და ფინალურ ეტაპზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ.

აი, რა გვიამბო ტალინური ტურის შესახებ „ბასკოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა.

— ტალინში ექვსმა გუნდმა მოიყარა თავი. ტური ახალაშენებულ თანამედროვე დარბაზში და მაღალორგანიზებულად ჩატარდა. მონაწილეებს საუკეთესო პირობები ჰქონდათ შექმნილი.

ჩვენი ბიჭების გამოსვლას დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. სამი თამაში მოვიგეთ: მოსკოვის ოლიმპიური რეზერვების სკოლასთან — 80:47, მოსკოვის ცსკა-სთან — 88:69 და შვედეთის „სოლენტუნასთან" — 73:68. ლიტურ გუნდებთან კი გაგვიჭირდა, საბონისის და კურტინაიტისის სკოლებთან შესაბამისად 67:73 და 59:68 წავაგეთ. მიუხედავად ორი მარცხისა, ფინალური ეტაპისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. ორი ტურის შემდეგ „ბასკო" 8 გამარჯვებით მეორე ადგილზეა, მხოლოდ საბონისის სკოლა გვისწრებს, 9 თამაში აქვს მოგებული. ყველაფერი ამ თვის ბოლოს მინსკში გაირკვევა. წესით და რიგით, ექვსეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიძნელდეს, გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ გუნდებთან გვიწევს თამაში. ჩვენი მეტოქეები სანკტ პეტერბურგის „ბალტტრეიდი", მინსკის რტი, კიევის „იუნისი" და ორი ლატვიური, რიგის ვალტერსის სკოლის და ქალაქ რიძენეს გუნდები იქნებიან. ექვსეულს, ალბათ, არ ავცდებით, მაგრამ უნდა ვეცადოთ, პირველ ან მეორე ადგილზე გავიდეთ, რადგან ამ შემთხვევაში თავისუფალნი ვიქნებით მეოთხედფინალის პლეი ოფის თამაშებისგან და პირდაპირ ნახევარფინალში გავალთ. გადამწყვეტი მატჩები ზაფხულში მოსკოვის ცსკა-ს უნივერსალურ საკალათბურთო მანეჟში ჩატარდება. მოსამზადებლად საკმარისი დრო გვექნება.

„ბასკოს" რიგებში ტალინურ ტურში ითამაშეს მანუჩარ მარკოიშვილმა, დავით იმნაძემ, ირაკლი საყვარელიძემ, სერგო ათუაშვილმა, ნიკა ჩხატარაშვილმა, ვიქტორ სანიკიძემ, ვანო მაისურაძემ, მამუკა და არჩილ ბოლქვაძეებმა, რევაზ ათანელიშვილმა, გიორგი დოლიძემ, მანუჩარ ნინუამ.

ორგანიზატორებმა ბოლო დღეს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს მაყურებელს, ტურის საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელშიც „ბასკოდან" მარკოიშვილი და ათუაშვილი მიიწვიეს, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან ათამაშეს. სახელოვანმა ვეტერანებმა, რომელთა შორის იყვნენ ვოლკოვი, ხოოკა, კურტინაიტისი, ენდენი და სხვები, საჩვენებელ მატჩში ოთხი ქულის სხვაობით მოუგეს ახალგაზრდებს. სხვათა შორის, მარკოიშვილმა ოლიმპიელებს 26 ქულა ჩაუგდო, კურტინაიტისმა 30 ქულა შესძინა თავის გუნდს. ბოლოს არ შემიძლია, არ ვთქვა იმ სითბოზე და მხარდაჭერაზე, რომელსაც ტალინში ქართული სათვისტომოსგან ვგრძნობდით.

**იუზა ქაციტაძე ბათუმიდან**

# სენსაცია «SKITA»
## თუ გული გულობს, დაფარუზბა ორივე ხელითაც შეიძლება

**„მესამე** მეოთხედში ტაბლოზე ანგარიში გაიყინა — 57:56. თამაში ისე დაიძაბა, ვერც ერთი გუნდი ბურთს ვერ აგდებდა. საბოლოოდ კვანძი „ბენეტონის" ახალმა სენსაციურმა შენაძენმა გახსნა. ქართველმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ბოლონიელთა ცენტრ ემილიო კოვაჩიჩს ორი ხელით დაუფარა და ტრევიზოელთა კონტრშეტევას დაუდო სათავე. ტაიუს იღნიმ შემთხვევით ბრწყინვალედ ისარგებლა, სამქულიანი ჩააგდო და ამის შემდეგ „სკიპერი" ჩამორჩა" — წერს ევროლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე იტალიელი ჟურნალისტი რომანო პეტიტი.

— მაგის გარდა ბოლონიელებს კიდევ სამჯერ დავაფარე და რამდენჯერმე ჩავჭერი ბურთი, მაგრამ რატომღაც თამაშის ოქმში ამ მაჩვენებელთა გასწვრივ ერთიანები წერია. თუმც ამას ჩემთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ვინც საჭირო იყო, დაინახა. მაიკ დანტონი ჩემი გარჯით კმაყოფილი დარჩა. პირველად მან მცირე ხნით მეორე მეოთხედში შემიშვა თამაშში, შემდეგ მესამე ათწუთეული დამაწყებინა. მოედანზე რომ დავბრუნდი, გრეგორ ფუჩკას დაჭერა მომიხდა და ამ საქმეს კარგად გავართვი თავი. მაიკ დანტონიმ ამიტომაც არ იჩქარა ძირითადი თავდამსხმელის შემოყვანა და მოედანზე მეოთხედის ბოლომდე დამტოვა. გახარებული ვარ, „ბენეტონის" ასეთ პრინციპულ მატჩში რომ მივიღე მონაწილეობა. ოთხი ქულა კი ჩავაგდე, მაგრამ ჩემი დაცვითი თამაშით ბოლონიელებს ძალიან დავეხმარე — გვითხრა გუშინ ნიკა ცქიტიშვილმა, იტალიაში რომ შევეხმიანეთ.

როგორც ხედავთ, ცქიტიშვილი აქცენტს კარგ დაცვით თამაშზე აკეთებს. ტრევიზოული გაზეთი „ლა ტრიბუნა" კი ნიკას ხეირიან შეტევებზეც ამახვილებს ყურადღებას: „ბენეტონში" კარგად ირჯებოდნენ ნახბარი და ცქიტიშვილი, რომელთა ქულებმაც ტრევიზოელები 42:33 დააწინაურა".

მატჩის მოგება „ბენეტონს" მაინც გაუჭირდა. ბოლო მეოთხედის წინ მასპინძლები 11 ქულით იგებდნენ, მაგრამ დავორ მარცელიჩის სამქულიანებმა, რომელსაც ხანგამოშვებით ფუჩკაც ეხმარებოდა, 3 წუთით ადრე ბოლონიელები დააწინაურა — 84:83. მასპინძლები ტაიუს იღნიმ იხსნა, როცა ბოლო წუთზე სამქულიანი ჩააგდო და „ბენეტონი" მიუწვდომელი გახადა.

თუ ამდენი სათქმელი გვაქვს ნიკა ცქიტიშვილზე, მეორე ქართველ ევროლიგელ ზაზა ფაჩულიაზე ამ ტურში ვერაფერს მოგახსენებთ. სტამბოლელები მოსკოვს ეწვივნენ და ქართველ გულშემატკივარს (აიტის მფლობელთ) საშუალება მიეცა „ულქერ" — ცსკა-ს მატჩი ტელეკომპანია „ენტევეს" საშუალებით ეხილა. ჩვენებური თავიდანვე გამოჩნდა ცისფერ ეკრანზე, შემდეგაც არაერთხელ გაიელვა ნაცნობმა სახემ, მაგრამ რად გინდა, ზაზა ფაჩულია ჯერ შემადგენლობების გამოცხადებისას ვიხილეთ, შემდეგ კი წუთშესვენებებზე, როცა რუსული კამერები აშარი მურათ დიდინის სათადარიგო სკამისკენ იყო მიშვერილი. თამაში ისე დამთავრდა, საქართველოს ნაკრების ცენტრი ამაოდ ელოდა მოედანზე გასვლას, რომელიც რუსებს (ალბათ განზრახ) ცნობილი თურქული ლუდის ფირმის „ეფეს პილსენის" ლოგოებით აეჭრელებინათ, რაც ამავდროულად შინაურ ჩემპიონატში „ულქერის" ორჯერ მძლეველი „ეფესის" ემბლემაცაა.

თანაბრად მიმდინარე მატჩის ბოლოს სტამბოლელებმა მცირე უპირატესობას მიაღწიეს. მოახლოებული წარმატების მოლოდინში დიდინი მოედანსმიღმა კალათბურთელებზე ნაკლებს როლი დარბოდა. ემოციამოჭარბებულს მხარზე პირსახოცი ხურჯინივით გადაეგდო და მსუქანი ლოყებიდან წამდაუწუმ იწმენდდა ოფლს. ამ დროს თურქი მწვრთნელი ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ფაჩულიაზე ფიქრობდა, რომელიც არც მაშინ შეუშვა მოედანზე, როცა „ულქერის" მეფარეებმა შესაძლებლობები ამოწურეს და მისი გუნდი სულს ლაფავდა. მარსად თურქჯანმა და გორდან გირიჩეკმა მოწყურულს მატჩში გარდატეხა შეიტანეს და მოსკოველები 6 ქულით დააწინაურეს, გამარჯვებისა თურქმა ჩააგდო, მაგრამ არა თურქული კლუბელმა. თურქჯანმა ბოლო წუთზე ფარსქვევიდან ბურთი მაბნედილ ულქერელ წოწოლათა ხელებს გადაავლო და მორიგი ორი ქულით ცსკას მოგება დაუბეჭდა.

ვერც ვლადიმერ ბოისას ამბებით დავიტრაბახებთ. ათენში „პანათინაიკოსთან" 67:85 წაგებული მატჩის ოქმში ოლიმპიელთა შორის ქართველის გვარი ვერ ამოვიკითხეთ.

**ირაკლი ქერტაია**

# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 6-7 მარტი**

### E ჯგუფი

**ბენეტონი 96:90 სკიპერი**

ბენეტონი: ნიკოლა (15), იდნი (25), სტოიჩი (1), პიტისი (5), მარკონატო (10), ბუღერი (2), ჩიკალკინი (6), ნახბარი (25), გარბახოსა (3), ცქიტიშვილი (14 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი)

სკიპერი: გოლდვაირი (3), ბაზილე (14), ფუჩკა (15), სავიჩი (7), მენეგინი (8), მილიჩი (10), კოვაჩიჩი (12), გალანდა, მარცელიჩი (21)

**სკავოლინი 87:88 ბარსელონა**

სკავოლინი: ბერიჩი (5), ბუკერი (28), გიგენა (7), ლ. მიდლტონი (13), პეჩილე, ტუშეკი (13), მაჯოლი (7), ბლერი (14)

ბარსელონა: როდრიგესი (8), დე ლა ფუენტე (4), ოკულაია (8), დიგბე (3), ნავარო (10), დუენიასი (10), იასიკევიჩუსი (11), რენციასი (15), ვარეხაო (4), კარნიშოვასი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 2 | 2 | 0 | 190:156 | 4 |
| სკიპერი | 2 | 1 | 1 | 187:183 | 3 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 181:184 | 3 |
| სკავოლინი | 2 | 0 | 2 | 153:182 | 2 |

### F ჯგუფი

**კინდერი 72:61 ურალ გრეიტი**

კინდერი: ჯინობილი (9), აბიო (5), ფროზინი (8), ანდერსენი (18), რიგოდო (4), სმოდიში (13), იარიჩი (15)

ურალ გრეიტი: ბაშმინოვი, პანოვი (3), კარასიოვი(5), ბარტონი (2), მიხაილოვი (12), ლიადელისი (21), ავლეევი (6), დაინეკო, ბოუი (10), ვეტიმოვი (2)

**ეფესი 63:67 რეალი**

ეფესი: ბრაუნი (15), ონანი (2), შტომბერგასი (7), ვეძილოღლუ (2), თუნჩერი (6), ილმაზი (2), ოქური (5), პეკერი, კამბალა (23)

რეალი: ა. ანგულო (4), ლ. ანგულო (11), ფუჭევიჩი (12), ტაბაკი (10), ერეროსი (17), იტურბე, ერნანდესი (5), ატრუილა (8)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 2 | 2 | 0 | 148:134 | 4 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 155:158 | 3 |
| ურალ გრეიტი | 2 | 1 | 1 | 156:160 | 3 |
| ეფესი | 2 | 0 | 0 | 136:143 | 2 |

### G ჯგუფი

**პანათინაიკოსი 85:67 ოლიმპია**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (8), კალაიძისი (3), სიუტისი, ჯ. როჯერსი (4), ბოდიროგა (13), დ. მიდლტონი (14), ქუთლუაი (22), ალბანო (2), პაპადოპულოსი (2), გიანულისი (17), სანჩესი

ოლიმპია: ველში (15), გოლემაცი (6), ილიევსკი (5), მიდრიჩი (3), უდრიჰი (11), ზდოვცი (4), ავოჯობი (4), მუეძინოვიჩი (13), პუკიჩი (6)

**ოლიმპიაკოსი 75:69 აეკ**

ოლიმპიაკოსი: პაპალუკასი (18), პაპანიკოლაუ, ამანატიდისი (4), რიზაშე, ფორდი (24), ტომიჩი, ნიკაგბატსე (7), ფეზერლინგი (4), ფორესტი (14), დე მიგელი (4)

აეკ: პოლდენი (18), ზისისი (6), ხაძისი (8), კიკილიასი (9), დიკუდისი (11), ბილბა, ბეტსი (7), კაკიუზისი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 167:144 | 4 |
| აეკ | 2 | 1 | 1 | 166:162 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | 160:179 | 3 |
| ოლიმპია | 2 | 0 | 2 | 154:184 | 2 |

### H ჯგუფი

**ცსკა 86:80 ულქერი**

ცსკა: მაკენტსი (14), თურქჯანი (17), ვოლკოვისკი (8), გირიჩეკი (24), პაშუტინი (10), დომანი (5), პეტრენკო (8)

ულქერი: ლოლისი (11), ფარსი (2), შტელმახერსი (2), გოლიოვიჩი (12), ერდენაი (16), ელი (15), აჩიკი (7), გონლუმი, ილდირიმი (15), გიულერი

ფაჩულია სათადარიგო იყო

**მაკაბი 77:78 ტაუ**

მაკაბი: ჰენდელდი (4), შარფი (7), ჰადმანი (13), პარკერი (22), შელეფი, ბურშტეინი (5), მაკდონალდი (13), ბემოქი (13)

ტაუ: სკოლა, ნოჩიონი (13), ბენეტი (13), ფორესტი (9), ვიდალი (7), სკონჩინი (2), ტომაშევიჩი (14), ფერნანდესი, ობერტო (7), კორჩიანი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 2 | 2 | 0 | 179:146 | 4 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 154:149 | 3 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | 146:146 | 3 |
| ულქერი | 2 | 0 | 2 | 149:187 | 2 |



ეს ის ემილიო კოვაჩიჩია, ნიკა ცქიტიშვილმა ორივე ხელით რომ დაუფარა



REUTERS

ჯონ ბერი თანაგუნდელ ჯერი სტეკჰაუზთან ერთად ხარობს უჯორდანო ვაშინგტონელთა ძლევის

# რაც მამა, ის შვილი

## ჯონ ბერიმ ცუდად გაუბერა

7 მარტი

**დალასი 122:103 ტორონტო**

დალასი: ნოვიცკი (35), ფინლი (25), ნეში (19 ქულა, 15 პასი)
ტორონტო: კარტერი (19), კლერკი (18 ქულა, 15 მოხსნა), პეტერსონი (16)

**ვაშინგტონი 92:95 დეტროიტი**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (24), ალექსანდერი (21), უიტნი (15)
დეტროიტი: უილიამსონი (23), სტეკჰაუზი (19)

**სან ანტონიო 99:97 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 16 მოხსნა), პარკერი (16 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: მობლი (20), ფრენსისი (19 ქულა, 11 მოხსნა), ტომასი (18)

**მემფისი 122:111 ინდიანა**

მემფისი: უილიამსი (33 ქულა, 11 პასი), გასოლი (23 ქულა, 15 მოხსნა, 7 დაფარვა), ბატიერი (20)
ინდიანა: ონილი (31 ქულა, 12 მოხსნა), ტინსლი (28 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

**დენვერი 104:93 ნიუ იორკი**

დენვერი: ჰოვარდი (30 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ფოიზი (20)
ნიუ იორკი: სპრიუელი (23), ჰიუსტონი (19), ტომასი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**სიეტლი 92:89 შარლოტი**

ძირითადი დრო 85:85

სიეტლი: პეიტონი (19), უილიამსი (16)
შარლოტი: მაშბერნი (27), დევისი (15)

მრავალტანჯული „ტორონტო რეპტორზი" რვა მარტს ჩვენებური ვოვა სტეფანიას „მაიამი ჰითის" ესტუმრა. მატჩი საქართველოში მზის ამოსვლისას დაიწყო და დაახლოებით იმ დროს დასრულდა, როცა სტამბიდან გამოსული ჯერაც თბილი „სარბიელი" დახლებზე და საგაზეთო სტენდებზე შემოიდო, ასე რომ, ამ მატჩის შედეგისას ვერას მოგახსენებთ. მხოლოდ ვივარაუდოთ „მაიამის" გამარჯვება, რის საფუძველსაც მისი მეტოქის უკიდურესი დაძაბუნება გვაძლევს.

„მაიამისთან" შეხვედრამდე, რაც ასე აფრთხობს ნბა-ში გაწევრიანებულთა სრულ უმრავლესობას, ოცი საათით ადრე „ტორონტო" დალასში დაჩოქა იქაურმა „მავერიკსმა" და დაჩეჩქვილ „დინოზავრთა" თორმეტმატჩა მწყობრ წაგებათა სიას მეცამეტეც მიემატა. „ტორონტო" აგებს ყველასთან და „არ დაგიდევთ", ბევრის მომგებ თუ ბევრის წამგებ გუნდს ხვდება. ცოტა ხნის წინ „დინოზავრები" დაუსრულებელ სირცხვილიანობას წამყვან მობურთალთა ნალრძობი კოჭ-მუხლ-იდაყვით ამართლებდნენ, მაგრამ ახლა ვინს კარტერიც ჯანზე ჰყავთ და არც ჰაკიმ ოლაჯუონი და ჯერომ უილიამსი დადიან ექიმებთან. ასე რომ, „დინოზავრთა" მიყოლებით 13 ზღართანის მიზეზთა მქექავთ სხვა მიმართულებით მოუწევთ თხრა.

ამ ერთადერთი კანადური გუნდის სამსახურში მყოფთაგან ამ სირცხვილს ყველაზე მტკივნეულად აღიქვამს „დინოზავრთა" გამხედნავი ლენი ვილკენსი. ეს შავ-თეთრი და კალათბურთელობაში და მწვრთნელობაში ლეგენდა კაცი აგერ, თითქმის სამი ათეული წელია, ხან ვისი მთავარი მწვრთნელია და ხან ვისი. ნბა-ს ისტორიაში შეგირდთა ყველაზე მეტჯერ გამამარჯვებელია და ასეთი კოშმარი უწინ არასდროს შემთხვევია. „ეს სრულიად ახალი შეგრძნებაა. მანამდე ასეთ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ. მინდა, მჯეროდეს, რომ ყველაფერი უახლოეს დღეებში დასრულდება, მაგრამ ამათ შემხედვარეს გულში იმედი არ მიჩერდება" — ბატონი ლენი პესიმისტურადაა განწყობილი, თან, როგორც ჩანს, „ტორონტოს" უხეირო, უხარისხო თამაშის შეგირდებისთვის გადაბრალებას ცდილობს.

შვიდ მარტს „ტორონტო" უსუსურობის განსახიერება გახლდათ, განსაკუთრებით პირწმინდად წაგებულ მეორე ტაიმში. „დინოზავრებს" მუხლები უცახცახებდათ, თუ ჩვენ „დალასთან" 19 ქულას ვაგებთ, როგორ უნდა მოვუგოთ მაიამიში „მაიამის", რომელმაც რამდენიმე დღის წინ „დალასი" მისსავე კედლებში გაატიტურაო.

სამართლიანობა მოითხოვს და ამ მატჩის გამარჯვებულიც ვახსენოთ. მეტოქის იოლად დაჩაგვრის და კარგი თამაშის ჩვენების გარდა ტეხასელებს კარგ ხასიათზე ყოფნის სხვა საბაბიც აქვთ. ეს ზეობა მათთვის სეზონში 43-ე გამოდგა, რითაც „დალასმა" მოგებათა რიცხვით კალიფორნიელ გიგანტებს — „ლეიკერსსა" და „საკრამენტოს" გაუსწრო. მართალია, ამ უკანასკნელს მოგება-წაგებათა ბალანსი ნახევარი პროცენტით უკეთესი აქვს, მაგრამ ეს წვრილმანი აბა, რა სალაპარაკოა, მთავარია, ჩავარდნილი 90-იანი წლების შემდეგ როგორც იქნა, ცხრილის სულ თავში ამოვარდნილმა ტეხასელებმა საკუთარი სიძლიერე ირწმუნონ.

„ნიუ იორკს" „ტორონტოსგან" განსხვავებით ზედიზედ 13 თამაში არ წაუგია, მაგრამ კაცი ვერ იტყვის, „ნიქსს" „რეპტორზზე" რიგიანად მისდის საქმე. პლეი ოფზე იმედებით ხელჩაქნეული ნიუიორკელები კლდოვან მთებში მიკარგულ და ცხრილის ფსკერზე გახიდულ „დენვერს" ესტუმრნენ და იქიდან პირში ჩალაგამოვლებულები გამობრუნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს პრაქტიკულად არ ჰყავდათ ლიდერი ანტონიო მაკდაიესი. მედიკოსთაგან სულ ახლახან თავდაღწეული მაკდაიესი პირველივე მეოთხედში შეაწუხა ვითომ კარგად შეხორცებულმა მუხლმა და მანაც საქმე ჯუონ ჰოვარდს გადააბარა. უხეირო „ნიუ იორკს" ეს ბედოვლათი ძალად ვარსკვლავიც ეყო.

კიდევ ერთმა მოწამემ, „ვაშინგტონმა", ერთხელაც წააგო. უჯორდანობაში დედაქალაქელთათვის თითქმის მიუწვდომლად მოჩანს გამარჯვება. შვიდ მარტსაც ვაშინგტონელები ამაოდ დაშვრნენ. მაიკლ ჯორდანის არამოყვარულ და არაპატივისმცემელ ძველ ვარსკვლავ რიკ ბერის არაფრით გამორჩეულმა შვილმა, ჯონ ბერიმ, მატჩის ბოლო წამზე 92:92 ანგარიშზე მასპინძელთა კალათისკენ სამქულიანი ხაზის მიღმიდან ბურთი გაისროლა, რომელიც „დეტროიტის" საკეთილდღეოდ ჩაეშვა კიდეც კალათში.

ლეგენდარულ რიკ ბერის ავსიტყვა კაცად იცნობენ და არც მისი პირმშო ყოფილა ბულბულის ენის პატრონი. სამქულიანის ჩაგდების შემდეგ ჯონ ბერიმ ტრიბუნებზე შეფენილ უცებ დამუნჯებულ ოცი ათას კაცს შესძახა, „სახლებში დაიფანტეთ", რის შემდეგაც ტრიბუნა კვლავ ახმაურდა (ლანძღვით და სტვენით). ბერიმ მოგვიანებით ბოლოში მოუხადა სრულიად დედაქალაქს, რათა თავისი უტაქტო საქციელი შეემსუბუქებინა. დაბოლმილი ვაშინგტონელები კი, ალბათ, ოხრავენ, მაიკლს მუხლი არ სტკიოდეს და ენახავდით ბერების და ეგეთების მოფარფატე ბუმბულსაო.

**ირაკლი ფირაშვილი**

| ალმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 39 | 21 | 65,0 |
| ბოსტონი | 33 | 27 | 55,0 |
| ფილადელფია | 31 | 29 | 51,7 |
| ორლანდო | 31 | 30 | 50,8 |
| ვაშინგტონი | 29 | 31 | 48,3 |
| მაიამი | 27 | 32 | 45,8 |
| ნიუ იორკი | 22 | 37 | 37,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 35 | 24 | 59,3 |
| მილუოკი | 35 | 25 | 58,3 |
| ინდიანა | 30 | 31 | 49,2 |
| შარლოტი | 29 | 31 | 48,3 |
| ტორონტო | 29 | 34 | 46,0 |
| ატლანტა | 22 | 38 | 36,7 |
| კლივლენდი | 22 | 39 | 36,1 |
| ჩიკაგო | 16 | 45 | 26,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 43 | 18 | 70,5 |
| მინესოტა | 40 | 21 | 65,6 |
| სან ანტონიო | 40 | 21 | 65,6 |
| იუტა | 34 | 26 | 56,7 |
| ჰიუსტონი | 22 | 38 | 36,7 |
| დენვერი | 18 | 40 | 31,0 |
| მემფისი | 16 | 45 | 26,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 42 | 17 | 71,2 |
| ლეიკერსი | 42 | 18 | 70,0 |
| პორტლენდი | 37 | 24 | 60,7 |
| სიეტლი | 35 | 27 | 56,5 |
| კლიპერსი | 30 | 31 | 49,2 |
| ფინიქსი | 29 | 32 | 47,5 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 42 | 27,6 |





ოლეგ ნაცვლიშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ თოდაძე

# იქნება თავგზა, იქნება რალი

**დღეს** საქართველოს საავტომობილო ფედერაცია (სსფ) თავის მორიგ სეზონს იწყებს. პირველი მერცხლები ტრადიციულად მოყვარულები იქნებიან. ისინი 12 საათიდან რიყის ტერიტორიაზე ჩქაროსნულ სლალომში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ასე გაგრძელდება დეკემბრამდე — ასპარეზობები თითქმის ყოველ შაბათ-კვირას (ორთვიანი საზაფხულო შესვენების გამოკლებით) გაიმართება.

ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა სსფ-ის მიერ მოწყობილ შეჯიბრებათა რაოდენობამ, კერძოდ, კარტინგსა და რალიში ეტაპების რიცხვმა. შარშან კიდევ ორი სიახლე ვიხილეთ: პირველი საერთაშორისო „რალი-საქართველო" და წყვილთა რბოლები. სსფ არც წლეულს აპირებს „ტემპის დაგდებას" და გულშემატკივრებს არანაკლებ საინტერესო ღონისძიებებს სთავაზობს.

წინა სეზონის შედეგებსა და სამომავლო ამოცანებზე გვესაუბრება საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **ვიქტორ თოდაძე**.

— შარშანდელი შედეგებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. შეჯიბრებები, ჩემი აზრით, საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. პირველ რიგში ეს მათ მომსახურებას, ანუ მსაჯობას ეხება. ფედერაცია უკვე მეორე წელია, მარშლების დონის ასამაღლებად სემინარებს აწყობს. სწორედ ამან განაპირობა მათი კვალიფიციური მოქმედება პირველი საერთაშორისო რალის დროს. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციიდან მოვლენილმა დამკვირვებელმა, ბულგარელმა ალექსანდრ ბაშნაკოვმა ქართველი მსაჯების მუშაობა დადებითად შეაფასა, რაც სათანადო პატაკშიც აღნიშნა. ამასთან, ცხადია, არც ხარვეზები დაუტოვებია უყურადღებოდ. ასპარეზობის ტექდოკუმენტაცია, ასევე ის ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც შედეგების დროულად გამოქვეყნებას ითვალისწინებს, არ პასუხობდა რალის ჩატარების სტანდარტებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკვე მიმდინარეობს მუშაობა, რომ ოქტომბერში დაგეგმილ მეორე საერთაშორისო შეჯიბრებას უფრო მომზადებულები შევხვდეთ, მაღალ დონეზე ჩავატაროთ და ტრადიციულად ვაქციოთ, რათა „რალი-საქართველომ" ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის სტატუსი მიიღოს.

**— განვლილ სეზონში, წინა წლებთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზარდა რალიში ეტაპების რაოდენობა.**

— ეს პირველ რიგში საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. რაკი ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ეტაპის მოწყობაა, ამიტომ ვალდებულები ვართ, ყოველწლიურად ამ სახეობის მინიმუმ ექვსი რბოლა ჩავატაროთ.

**— ყველა ამ ღონისძიების მოწყობა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.**

— ეროვნული ჩემპიონატის შეჯიბრებების ორგანიზებას ფედერაცია ძირითადად საკუთარი სახსრებით ახერხებს. რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზობას, ჩვენი ბიუჯეტი მის ჩატარებას, ცხადია, ვერ გასწვდება. ამიტომაც შარშან მხარში დაგვიდგნენ ცნობილი ფირმები და კონცერნები. წლეულსაც შეძლებული სპონსორების დახმარების იმედი გვაქვს.

**— წლეულს რა სიახლეებია მოსალოდნელი?**

— შარშანდლისგან განსხვავებით, ჩქაროსნული მონაკვეთების უმეტესი ნაწილი ამჯერად უფრო რთულ, გრუნტიან-მოხრეშილ გზებზე გაივლის. შევარჩიეთ ტრანსპორტით ნაკლებად დატვირთული უბნები, რომელთა გადაკეტვაც ბევრად ადვილია. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მრბოლებს ეს მონაკვეთები არაერთხელ გაუვლიათ, ასე რომ, ურიგო შედეგები არ უნდა აჩვენონ. იმედი გვაქვს, რომ მონაწილეთა რაოდენობა წლეულს გაცილებით გაიზრდება და ბევრად მეტი უცხოური ეკიპაჟი გვეწვევა. ჩვენმა ფედერაციამ შეიძინა ორი უახლესი მოდელის „მიცუბიში ევო — VII", რომლებითაც წამყვანი მრბოლები იასპარეზებენ ეროვნულ და საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის მაისში ევროპის ჩემპიონატის ორ ეტაპზე, რომლებიც თურქეთის და ბულგარეთის გზებზე გაივლის.

ავტოსპორტი ძვირი სიამოვნებაა და ამიტომ მასობრიობაზე ლაპარაკი უადგილოა, თუმც დარწმუნებული ვარ, რომ შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებით ამ სახეობის პოპულარობა გაიზრდება და ბევრ ახალგაზრდას გაუჩნდება რბოლებში მონაწილეობის სურვილი. თანდათან პილოტთა ოსტატობაც ამაღლდება და მოკლე ხანში უცხოურ ასპარეზზეც გამოიჩენენ თავს.

**ოლეგ ნაცვლიშვილი**

| საქართველოს 2002 წლის ავტოშეჯიბრებების კალენდარი | | |
|---|---|---|
| 9 მარტი | ჩქაროსნული სლალომი | (მოყვარულები) |
| 15-16 მარტი | წრიული რბოლა | პირველი ეტაპი |
| 23 მარტი | ჩქაროსნული სლალომი | (მოყვარულები) |
| 29-30 მარტი | სამთო რბოლა | პირველი ეტაპი |
| 5-6 აპრილი | რალი „გაზაფხული 2002" | (მოყვარულები) |
| 12-13 აპრილი | რალი | პირველი ეტაპი |
| 20 აპრილი | კარტინგი | პირველი ეტაპი |
| 26-27 აპრილი | სამთო რბოლა | მეორე ეტაპი |
| 1 ივნისი | ჩქაროსნული სლალომი | (მოყვარულები) |
| 8 ივნისი | კარტინგი | მეორე ეტაპი |
| 14-15 ივნისი | რალი | მეორე ეტაპი |
| 22 ივნისი | კარტინგი | მესამე ეტაპი |
| 5-6 ივლისი | რალი | მესამე ეტაპი |
| 13 ივლისი | კარტინგი | მეოთხე ეტაპი |
| 19-20 ივლისი | წყვილთა რბოლა | (საქართველოს თასი) |
| 26-27 ივლისი | რალი „ზაფხული 2002" | (მოყვარულები) |
| 2-3 აგვისტო | რალი-კროსი (ქუთაისი) – ეზეკი ხვანძის სახ. თასი | |
| 20-21 სექტემბერი | რალი | მეოთხე ეტაპი |
| 28 სექტემბერი | კარტინგი | მეხუთე ეტაპი |
| 5 ოქტომბერი | კარტინგი | მეექვსე ეტაპი |
| 18-20 ოქტომბერი | საერთაშორისო რალი | |
| 26 ოქტომბერი | კარტინგი | მეშვიდე ეტაპი |
| 2 ნოემბერი | კარტინგი | მერვე ეტაპი |
| 8-9 ნოემბერი | რალი | მეექვსე ეტაპი |
| 15-16 ნოემბერი | რალი „შემოდგომა 2002" | (მოყვარულები) |
| 29-30 ნოემბერი | წრიული რბოლა | მეორე ეტაპი |

*რა ადგილი უკავია ქართულ რაგბის ჩვენს დღევანდელობაში, რა მოგვიტანა უცხოელმა მწვრთნელმა, მართებს თუ არა მთავრობას პრიორიტეტული სახეობები არჩევა...*
*ჩვენი რესპონდენტია სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე, უწინ მორაგბე, ახლა პოლიტიკოსი. იგი რაგბის თავგადაკლული გულშემატკივარია, საქართველოს ნაკრების ყველა მატჩს ტრიბუნიდან ადევნებს თვალს და გულიანად ქომაგობს ბორჯღალოსნებს.*
*სახალხო პარტიის ლიდერთან საუბარი მისი სპორტული კარიერით დავიწყეთ.*



# იმედის კუნძული

## რუსების ხელში რაგბი ქართული სამყაროს პატარა კუნძული იყო. ქართველების ხელშიც რაგბი ქართული სამყაროს კუნძულია

— 70-იანი წლების ბოლოს თბილისის ახალგაზრდობის გარკვეულ წრეში რაგბის ნამდვილი ბუმი იყო. ეს იყო სამყარო, რომელიც ხელისუფლების ყურადღებას არ გრძნობდა, სამყარო, რომელიც არ წარმოადგენდა ოლიმპიურ სახეობას, აქედან გამომდინარე რაგბიში არ ტრიალებდა ფული, არ იყო პრივილეგიები, უცხოური შეკრებები, მაგრამ ეს იყო და არის სპორტის სახეობა, რომელსაც გამოარჩევს შემართება და ვაჟკაცური სული. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა ამ სამყაროში, მერე ძალიან უჭირდა მასთან განშორება. ჩემი უამრავი ახლობელი თამაშობდა რაგბის. ჩემი ნათესავი ავთო გიორგაძე მაშინდელი რაგბის ვარსკვლავი იყო. მეც დავინტერესდი ამ თამაშით და მისი რეკომენდაციით თბილისის „ლოკომოტივში" მოვხვდი. გუნდი სერიოზულ წარმატებებს აღწევდა საკავშირო პირველობაზე. ვფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარვარ, ვინაიდან იმ პერიოდში რელიგიურ და ეროვნულ მოძრაობაში ვიწყებდი აქტიურ საქმიანობას და იმ გარემოში მოვხვდი, სადაც უნდა ვყოფილიყავი, ქართველი კაცების სამყაროში, სადაც ღირსება და ადამიანობა იყო მთავარი. ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩემში ეროვნულ მრწამსს. რაც შეეხება ჩემს სარაგბო კარიერას, ის არც ისე წარმატებული გამოდგა. ძირითადად პოლიტიკით ვიყავი დაკავებული და ინტენსიური ვარჯიშისთვის ვერ ვიცლიდი. მალე „ლოკომოტივი" დავტოვე და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხპი-ის გუნდში მივედი. იქ კარგა ხანს ვითამაშე, მერე სპორტს ჩამოვშორდი და მთლიანად პოლიტიკაში გადავეშვი.

**— მორაგბეთა უმეტესობას მეტსახელი აქვს, თქვენ თუ გქონდათ?**

— მქონდა, ოღონდ ეს მეტსახელი არამორაგბე მეგობრებმა შემარქვეს. ჩემი აღნაგობისა და ფიზიკური ძალის გამო „რიჯგვინას" მეძახდნენ.

**— საბჭოთა პერიოდში ქართველებისთვის ფეხბურთი იყო ყველაფერი. რა იყო რაგბი?**

— რაგბი ჩვენთვის იყო ქართული სამყაროს პატარა კუნძული, სადაც შეგვეძლო ეროვნული სულით ცხოვრება და თვითყოფადობის დამტკიცება. თბილისის „ლოკომოტივი" ამას მშვენივრად ახერხებდა. არადა, რუს ჩინოვნიკებს სულ ჩაგვრაში ჰყავდათ, მუდმივად ეშარებოდნენ და ჩემპიონობას არ აძლევდნენ. რუსი სპორტის მოხელეები უსამართლოდ გვექცეოდნენ ქართველებს. თუმც „ლოკომოტივი" არ იყო ის გუნდი, თავი დაეხარა და უკან დაეხია. იმ თაობას ბოლომდე ბრძოლა შეეძლო, ჯიგრით გაჰქონდა ლელო. მაშინ თავისუფლად შეგვეძლო, ქართული ხასიათი ბოლომდე გამოგვევლინა. თუ მიზეზი მოგვეცემოდა, ზოგჯერ გულს ჩხუბით ვიფხანდით: გავმართავდით ერთ დაკალაკას. იქ მაინც ჩვენ ვრჩებოდით მოგებულნი, თუმც არც მოწინააღმდეგეები იყვნენ ჯაბანნი.

**— საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებს არ აცდენთ. რას გვეტყვით ეროვნულ გუნდზე?**

— მორაგბეთა ნაკრები ლამის ერთადერთი ნათელი წერტილია ჩვენს დუხჭირ ყოფაში. ამხელა წარმატებას ფაქტობრივად ენთუზიაზმით მიაღწია. ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა მინიმალური შესაძლებლობებით. მთავარი მაინც მორაგბეთა გუნდური სულისკვეთებაა. ყველამ ვიცით, რომ რაგბიში იმდენი ფული არ ტრიალებს, რამდენიც ფეხბურთში, შესაბამისად, ჩვენს მორაგბეებს საზღვარგარეთ კაპიკებს უხდიან, მაგრამ მათ სამშობლოსა და საქმისადმი სიყვარული გამოარჩევთ სპორტის სხვა სახეობების მიმდევრებისგან. გუნდში ჯანსაღი სული ტრიალებს, სწორედ ესაა ჩვენი ნაკრების წარმატებული თამაშის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა.

**—თქვენ ფიქრობთ, რომ ეროვნული სული სპორტის სხვა სახეობებში ისე ვერ ვლინდება, როგორც რაგბიში...**

— საზოგადოება არა მარტო შედეგით აფასებს მორაგბეებს. ისინი ბოლომდე იხარჯებიან. ყოველ მატჩს ისე თამაშობენ, თითქოს ეს მათ ცხოვრებაში ბოლოაო. ხალხი ხედავს, რომ ეს არ ხდება ფინანსური დაინტერესებით. ბიჭები არ უფრთხილდებიან ხელებს, ფეხებს, კისერს, წელს... ჩვენი ნაკრები კლასით ჩამოუვარდება საფრანგეთის, ახალ ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის დარ გუნდებს, მაგრამ მათ ჯიგარს, თავდადებასა და ბრძოლის ჟინს აფასებს ხალხი. სწორედ ეს სჭირდება დღეს ნებისმიერ ქართველს. ჩვენ ჩავიძირეთ ყოველდღიურ პრობლემებში. ხალხი დეპრესიაშია და ამ დროს ერთი ნათელი გამოვლინებაა, როდესაც თხუთმეტი ვაჟკაცი მოედანზე დგას და ზღვა სიხარულის ჩუქნის დაბეჩავებულ ადამიანებს. სტადიონზე ხალხი ხედავს, რომ მთლად არ დავჩაჩანაკებულვართ და უარყოფითი ემოციებისგან იცლება.

ფეხბურთის ფედერაცია, რაგბის კავშირისგან განსხვავებით, ფინანსურად მძლავრი ორგანიზაციაა. ამიტომაც იქ მეტი პრობლემა და სიბინძურეა. ეს იმას არ ნიშნავს, რაგბის კავშირს ფული არ მივცეთ. პირიქით, მთავრობამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს რაგბის და რითაც შეეძლება, დაეხმაროს. მორაგბეები ის ხალხი არაა, ფულის გულისთვის ერთმანეთს ჭამა დაუწყონ. შეიძლება მორაგბე მორაგბეს ვერ იტანდეს, მწვრთნელი მწვრთნელს, მაგრამ ყველაფერს ივიწყებენ და საერთო საქმეს აკეთებენ. ფეხბურთში, თუ დააკვირდებით, არაჯანსაღი გარემოა. ნაკრები დაქსაქსულია, დაჯგუფებებია. ერთიც არის, ფეხბურთში მოუმზადებელი კადრები მივიდნენ. რაც დამოუკიდებელი გავხდით, ამ სფეროში იმხელა ჩავარდნაა, რომ დღემდე ვერ გამოსწორდა. რაგბი ამ მხრივაც გამორჩეულია.

**— იყო დრო, მორაგბეთა ნაკრებიც ბოლომდე ვერ ამჟღავნებდა პოტენციალს და ერთი-ორი სამარცხვინო მარცხიც გამოურია. სიტუაცია მაშინ გამოსწორდა, როდესაც გუნდს ფრანგი კლოდ სორელი ჩაუდგა სათავეში და ქართული რაგბი სულ სხვა მიმართულებებით წაიყვანა. თანაც სორელი კარგად შეეწყო ქართულ მენტალიტეტს, რომელსაც მისი საფეხბურთო კოლეგა, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ნამდვილად არ გვიქებდა...**

— არა, ქართული მენტალიტეტი არაფერ შუაშია. მთავარია, როგორ დააყენებ საქმეს. რაგბის კავშირმა ურთიერთობის ის ფორმა მოძებნა, რომელიც მისაღები იყო ორივე მხარისთვის. როცა ჯანსაღი ურთიერთობაა, იქ პრობლემაც ნაკლებია. გარდა ამისა, სორელი ნამდვილი პროფესიონალი აღმოჩნდა და თან პიროვნულად ისეთი თვისებების მქონე, რომ მორაგბეებთან საერთოს გამონახვა არ უჭირს. ქართველები ნიჭიერი და შრომობლი ხალხი ვართ. სორელმაც სწორი მიმართულება მისცა მორაგბეებს და შედეგიც მიიღო. შეიძლება იყო იქ ნიუანსები, მაგრამ ეს არ ჩანს. თუ შენი პრინციპების გამო რაღაც არ დათმე, ან ჯიუტად ერთ გზას დაადექი, კომპრომისზე არ წახვედი, არ გაითვალისწინე ქართული ხასიათი და შესაბამისად შედეგიც ვერ მიიღე, ეს ქართული მენტალიტეტის ბრალი სულაც არ არის.

**— რაც უნდა უარვყოთ, პოლიტიკა და სპორტი მაინც კავშირშია. მთავრობაც დაინტერესებული უნდა იყო რაგბის განვითარებით, მაგრამ ჯერ მხოლოდ საქებარი დიპლომებით შემოიფარგლება. ხომ არ აჯობებს, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სასაცილო თანხის გარდა მთავრობამ რაღაც რეზერვები გამოძებნოს რაგბის დასახმარებლად?**

— რა თქმა უნდა, სპორტიც, ხელოვნებაც და კულტურაც პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, რაგბის დროულად თუ არ მიეხედა, რასაც მივაღწიეთ, ერთიანად ჩაფლავდება. ახლა უნდა თანადგომა და ყურადღება. ბოლოს და ბოლოს, ამ ვაჟკაც ბიჭებსაც ამოუვათ ყელში. მოთმინების ჯაჭვიც გაწყდება და სიმწრით ნაშენები ხუხულასავით დაინგრევა. მარტო პარლამენტარებისა და ოფიციალური დელეგაციების ვიზიტებით ვერ გაიცნობს საქართველოს მსოფლიო. მთავრობამ იქით უნდა მიმართოს თავისი შესაძლებლობები, სადაც წარმატების რეალური გარანტია არსებობს. საამისო თანხები რეალურად არსებობს, მაგრამ ჭილაც-ჭილაცეების ჯიბეში ილექება. კი, ბატონო, ჭამოს იმ ჩინოვნიკმაც, მაგრამ რაღაც ნაწილი სპორტს მოახმაროს, თუნდაც პრეზიდენტმა დაავალოს თავის ძმისშვილს ან ნათესავს. ყველაზე კარგი იქნება, ჯიბესქელი ჩინოვნიკები თავად მიხვდნენ ამას. ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, თავიანთ თავთან ნაწილობრივ მართლები იქნებიან, სპორტს რომ შეეწევიან. ფინანსურად თუ არ ეხმარები, ისე მაინც მოინახულე, გაამხნევე, გაესაუბრე, გვერდში დაუდექი. სწორედ ეს გვაკლია ახლა ქართველებს, ერთად დგომა და საქმის კეთება. თუ მთავრობა მორაგბეებს მომავალშიც აღარ დაეხმარება, ის ადგილი, რაც დღეს გვიკავია მსოფლიო რაგბიში, სანატრელი გაგვიხდება.

**ბაჩო სვანიძე**



## საჭადრაკო კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„სარბიელი" დღეს აქამდე უცნობი ქართველი მოჭადრაკის, დეოდორე ბაგრატიონ-მუხრანსკის შესახებ მოგითხრობთ.**

**მეოცე** საუკუნის დასაწყისში სამარელმა სერგეი მიროტვორსკიმ (1881-1920) რუსეთში 50 ტურნირის მოწყობა მოახერხა მიმოწერით თამაშში. სულ მათში 500 მოჭადრაკე მონაწილეობდა. თვითონ მიროტვორსკიმაც ყველა ტურნირში ითამაშა.

ტურნირის მონაწილეთა შორის აღმოვაჩინეთ „კნიაზ დ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკი". უკვე დადგენილია, რომ მან ოთხ ტურნირში იასპარეზა. VI ტურნირში (X. 1908-III. 1910) ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მიროტვორსკის ნახევარი ქულით გაუსწრო, ხოლო მეთერთმეტე (IX. 1909 — I. 1912) და მეთვრამეტე (X. 1910 — IX. 1912) ტურნირში მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება არის დეოდორე (თეოდორე) ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1873-1935). მისი მშობლები იყვნენ პოლკოვნიკი ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1822-1885 წ) და ანა ტრუბნიკოვა. მინიშნებულია მათი საცხოვრებელი ადგილიც: ნიკოლაევის რკინიგზა, სადგური ბაბინო.

ბაგრატიონ-მუხრანსკის თამაშის ძალა ქვემოთ მოყვანილი პარტიის ფრაგმენტით შეგვიძლია განვსაზღვროთ. ავგუსტინოვიჩ—ბაგრატიონ-მუხრანსკის

ეს პარტია მეთერთმეტე ტურნირში გათამაშდა. თეთრებმა მეტოქის ევანსის გამბიტი შესთავაზეს და პირველ დაფაზე ნაჩვენებ პოზიციაში 17. მxh7-ის შემდეგ მეტოქის მეფის დალაშქვრა გადაწყვიტეს. ჩვენი თანამემამულე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან არამარტო უკუაგდო თეთრების მუქარა, არამედ თვითონ გადავიდა იერიშზე: 17... ლh4 18. მxf8 მg4 19. g3 ლh3 20. ლg2

ავგუსტინოვიჩმა თითქოს მოახერხა თეთრი მეფის დაცვა (იხილეთ მეორე დაფა), მაგრამ ეფექტური 20...მd3!!-ის შემდეგ პარტიის ბედი ნათელია.

21. მxg6 მdf2+ 22. ეxf2 მxf2+ 23. მფg1 ლh5 24. მe7+ მფf8 25. კh6+ მფe8 26. მxc8 ეxc8 27.კg7 მd3+ და ავგუსტინოვიჩი დანებდა.

ეს პარტია დაიბეჭდა ა. პრიკის ჟურნალში „Руководство къ изученію шахматной игры" (პეტროგრადი, 1914). ჟურნალის მე-5 ნომერი მთლიანად მიეძღვნა ევანსის გამბიტს. მსოფლიოს ცნობილ მოჭადრაკეთა გვერდით ქართული გვარებიც იკითხება. საინტერესოა პარტია „კნიაზ ბურგიშვილი(?) — მუხრომანცი, ტფილისი, 1913". ეს პარტია ქართველმა თავადმა, რომლის გვარიც აშკარად დამახინჯებულია, 22 სვლაში მოიგო.

**დავით გურგენიძე**



პირველი დაფა



მეორე დაფა

### ლინარესის სუპერტურნირი

# ბალღის სიფიცხე

**მე-11 ტური** ლინარესში მშვიდი იყო. სამიდან ორ პარტიაში უწყინარი ყაიმები გაფორმდა, მხოლოდ ახალგაზრდა ფრანცისკო ვალეხომ ითაკილა ბოლო ადგილი თუ დაც საჭადრაკო გიგანტების კომპანი. ჰი და ესპანური სიფიცხით შეუტია მაიკ ადამსის შავ არმიას. ბრიტანელი ერთხანს ფლეგმატურად იდგა, მაგრამ როცა მე-4 ჰორიზონტალზე ერთბაშად 5(!) თეთრი პაიკი გამწკრივდა, შფოთვა დაეტყო. მართლაც, ვალეხომ უნაკლოდ გაითამაშა დებიუტი და მისი ფიგურები შავ მეფეზე იერიშის სურვილს გამოთქვამდნენ. ესპანელმა კაცურად და ფართო ფრონტით შეუტია და თითქმის დაავგვირგვინა კიდეც, მაგრამ თითქმის როდის ითვლებოდა? ვალეხოს ლაზიერი, კუ და პაიკი გარს კი ადგნენ ადამსის მეფეს, მაგრამ ბრიტანელმა უეცრად გამოახტუნა თავის ლაზიერი და მუდმივი ქიში გამოაცხადა.

ვასილი ივანჩუკმა გარი კასპაროვის წინააღმდეგ ლაღი თამაში ვერ გაბედა და ააშენა სრულიად ულრიჭო სიმაგრე, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვერსაიდან შეარყია. ამიტომ — ყაიმი და ალექსეი შიროვისა და რუსლან პონომარიოვის დაფაზე კი პირიქით, ფრიადი თავისუფლება იყო და ლაზიერები კარგახანს დაშლიგინობდნენ პაიკთა შორის, მაგრამ ქვეითები თანაბრად დაიხოცნენ და 48 სვლის შემდეგ იმათ დაფაზეც მშვიდობამ დაისადგურა.

**დავით გულუა**

| ვითარება 11 ტურის შემდეგ |
| --- |
| 1. კასპაროვი 5,5; 2-3. ივანჩუკი, პონომარიოვი 5; 4-6. ანანდი, ადამსი, შიროვი 4,5; 7. ვალეხო 4 |



შიროვმა და პონომარიოვმა ერთმანეთს ძვრა ვერ უყვეს



REUTERS ალტენმარკტიდან

ჰილდე გერგი სუპერგიგანტის მცირე ბროლის გლობუსით

# ცხვირები მაღლა!

## დორფმაისტერი და მაიზნიცერი მომავალზე იგეშებიან

**ავსტრიის** ალტენმარკტში ქალთა მსოფლიოს თასის სუპერგიგანტის ეტაპი გაიმართა და, საკმაოდ მოულოდნელად, იგი მიხაელა დორფმაისტერმა მოიგო. რა არის გასაკვირი იმაში, მსოფლიოს თასის ვადამდე ადრე პატრონმა რომ რიგითი ეტაპი მოიგოსო, საფუძვლიანად შენიშნავს მკითხველი და აი, პასუხიც: წლევანდელ სეზონში დორფმაისტერს სუპერგიგანტი ჯერ არ მოეგო. მისი ქულების ძირითადი მარაგი გიგანტურ სლალომში დაგროვდა და ამ ტექნიკური დისციპლინის ბოლო ეტაპის მოსაგებად დორფმაისტერი შაბათს თავს არ დაზოგავს, რადგან სასწორზე ბროლის პატარა გლობუსი გდია. გლობუსს ყველაზე მაგრად ჯერჯერობით შვეიცარიელი სონია ნეფი ებღაუჭება, რომელიც დისციპლინის ჩათვლას ლიდერობს და დორფმაისტერს 20 ქულით უსწრებს. ესაა სხვაობა, რომლის აღმოფხვრა ფანტასტიკის სფერო არ არის: ეტაპის მოგებისთვის 100 ქულა ირიცხება, მეორე ადგილზე 80 და ასე შემდეგ.

დავუბრუნდეთ სუპერგიგანტს. აქ ყველაფერი ცხადი იყო, ბროლის გლობუსით გაპრანჭვა გერმანელმა ჰილდე გერგმა უკვე მოასწრო, ამიტომ ბოლო ეტაპი ერთგვარად უინტრიგო გამოდგა. მაყურებლებში მწუხარე გამოცოცხლებამ დაისადგურა, როცა ტრასის ზედა ნაწილშივე მოსრიალდა იანიკა კოსტელიჩი, ვინც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედლით დაიტვირთა. ქალზე როგორ ითქმის, მაგრამ მაინც ჯმუხი კოსტელიჩი ისე წამოდგა, ვითომ არაფერი, ყოჩაღად დატოვა ტრასა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, „ოკეის" თქმასთან ერთად ცერა თითის აღმართვა მიჭირს, მგონი, მოვიტეხეო.

მივმართოთ გამარჯვებულ დორფმაისტერს, რომელსაც, კოსტელიჩისგან განსხვავებით, სოლტ ლეიკ სიტიში შავი ქვაც არ ერგო. „ერთი წესი აღმოვაჩინე — ყოჩაღად განაცხადა დორფმაისტერმა გუშინწინდელი პოდიუმის სათავიდან ჩამოსვლისას — ნებისმიერი მარცხი და წყენა უნდა დაივიწყო და მხოლოდ წინ იყურო. მეც ვიყურები შაბათისკენ, როცა გიგანტური სლალომი იქნება. მინდა პატარა ბროლის გლობუსიც, დიდი კი სეზონის განმავლობაში ნამდვილად დავიმსახურე".

მხნედ გამოიყურებოდა სოლტ ლეიკ სიტის მეორე ავსტრიელი უიღბლოც, ალექსანდრა მაიზნიცერი, რომელსაც ბოლო წლებში ბედი არ სწყალობს. 4 წლის წინ მაიზნიცერმა მსოფლიოს თასი მოიგო, მერე სასტიკად დაშავდა და დღემდე ვერ უწია სასურველ ფორმას. ოლიმპიადაზე მაიზნიცერს ორჯერ ნაბიჯი უკლდა ბრინჯაოს მედლამდე, მაგრამ ერთხელაც ვერ გადადგა (ორჯერვე მე-4 იყო). მაშინ ბევრი ინერვიულა, ხოლო გუშინწინ მხოლოდ დორფმაისტერს ჩამორჩა და სუპერგიგანტის საერთო ჩათვლაშიც მე-2 ადგილზე გავიდა.

„როგორც იქნა, თავს ღიმილის უფლება მივეცი — თქვა მაიზნიცერმა ღიმილით — ეს მეორე ადგილი გამარჯვება როდია, მაგრამ ჰგავს. იმედია, წინ კარგი ამბები მელის".

**დავით გულუა**

| ქალები |
|---|
| სუპერგიგანტი |
| 1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1.27,87; 2. ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) 1.28,53; 3. ჰილდე გერგი (გერმანია) 1.29,37 |
| სუპერგიგანტის საბოლოო ჩათვლა |
| 1. ჰილდე გერგი (გერმანია) 355; 2. ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) 248; 3. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 212 |
| საერთო ჩათვლა |
| 1. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1231; 2. რენატე გოეტშლი (ავსტრია) 931; 3. ჰილდე გერგი (გერმანია) 847 |



**მსოფლიოს ჩემპიონატი** კუალა ლუმპური, მალაიზია

8 მარტი

მატჩი V ადგილისთვის
**არგენტინა 3:5 პაკისტანი**

მატჩი VII ადგილისთვის
**ინგლისი 3:2 მალაიზია**

მატჩი VIII ადგილისთვის
**ინდოეთი 1:2 ახალი ზელანდია**

მატჩი XI ადგილისთვის
**ესპანეთი 5:1 იაპონია**

მატჩი XIII ადგილისთვის
**სამხრეთ აფრიკა 5:4 ბელგია**

მატჩი XV ადგილისთვის
**კუბა 0:3 პოლონეთი**



REUTERS კუალა ლუმპურიდან

ინდოელი ბალჯიტ სინგჰ დჰილონი და ახალზელანდიელი ფილიპ ბაროუზი

# რაგბი, ოღონდ მხოლოდ ბურთით!

## რას გადაურჩა რუმინეთი

**რუმინელები** ჩვენი უპირველესი სარაგბო რაყიფები კი არიან, მაგრამ რაგბის სიყვარულს ვერ წაართმევ. ამის მაგალითად იქაურ ქალაქ ტიმიშოარაში ამას წინათ მომხდარი ერთი ტრაგიკომური ამბავიც გამოდგება.

მავან ტიმიშოარელ ტაქსის მძღოლებს რომელიღაც მიგდებულ საწყობში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ყუმბარა უპოვიათ და... შუა ქუჩაში გამოსულებს ამ ყუმბარით რაგბის თამაში გაუჩაღებიათ. ღმერთმა უწყის, ფრთხილობდნენ თუ რა იყო, მაგრამ ამ შტერებს ჭურვი მიწაზე არ დავარდნიათ, თორემ, როგორც მერე ექსპერტებმა დაადგინეს, ქობინი ჯერაც აქტიური იყო და დავარდნის შემთხვევაში 500 მეტრის რადიუსით ყველაფერს დედას უტირებდა.

მძღოლებმა პასაობა და ღლაბუცი მხოლოდ შეშფოთებულ პოლიციელთა ჩარევის შემდეგ შეწყვიტეს.

„კაცი თუ იდიოტია, ეგ ცხოვრების ბოლომდე ეგრე იქნება — განაცხადა რუმინეთის სამოქალაქო თავდაცვის ინსპექტორმა კლაუდიუ ჯალბამ — არადა, ბეწვზე ვართ გადარჩენილები, თორემ რუმინელებს საერთოეროვნული გლოვა არ აგვცდებოდა".

მოკლედ — ნუ ვითამაშებთ რაგბის ყველაფრით, რაც ხელში მოგვხვდება. ჩვენ ხომ რაგბი რუმინელებზე ნაკლებად არ გვიყვარს!

**ლევან ძილაურაძე**



**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

7 მარტი

**ფილადელფია 2:4 კალგარი 1:1 1:2 0:1**
1:0 დოპიტა (8), 1:1 კრაჟიჩეკი (9), 2:1 ფედორუკი (24), 2:2 პეტროვიცკი (31), 2:3 მაკამონდი (35), 2:4 იგინლა (60)

იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს! შარშანდელ დედლაინზე დინ მაკამონდი ფილადელფიაში გადავიდა, მაგრამ ვერ დამკვიდრდა და გაზაფხულზე კალგარის მიაშურა. ყოფილ პარტნიორებთან შეხვედრის პირველი წუთებიც არ გამოდგა მაკამონდისთვის სასურველი, ცუდად დაიწყო — დენ მაკგილისის ძალისმიერი ილეთის შემდეგ ფორვარდი ძლივს წამოდგა ფეხზე, მაგრამ მერე ღირსეულად უპასუხა ოპონენტებს და 35-ე წუთზე სტუმრები პირველად დააწინაურა. ამის შემდეგ მის გუნდს უპირატესობა აღარ გაუშვია ხელიდან. ბოლო წამებზე ჯერომ იგინლამ ცარიელ კარში შეაგდო.

**პიტსბურგი 1:3 კაროლინა 0:0 1:1 0:2**
1:0 პრიდინა (24), 1:1 ონილი (30), 1:2 ფრენსისი (47), 1:3 ონილი (54)

მარტინ სტრაკას მეორედ დაბრუნება სევდიანი გამოდგა. სეზონში მეორე ტრავმის მორჩენის შემდეგ ჩეხმა მხოლოდ ათიოდე წუთი დაჰყო ყინულზე და ამჯერად მუხლი დაუზიანდა. თამაშის წინ პიტსბურგს რობერტ ლანგიც გამოაკლდა, ხოლო მესამე პერიოდში ისედაც ძალაგამოცლილ მასპინძლებს დიდი წყენა შეხვდათ — მათმა ყოფილმა თანაგუნდელმა რონ ფრენსისმა გაუტანა.

**ნეშვილი 2:3 ლოს ანჯელესი 0:1 0:1 2:1**
0:1 პალფი (20), 0:2 პალფი (36), 1:2 რონინგი (46), 2:2 ფიცჯერალდი (50), 2:3 დედმარში (60)

საავტომობილო კატასტროფის შემდეგ მობრუნებული თავკაცი ენდი მურეი ლოსანჯელესელმა შეგირდებმა გვარიანად ანერვიულეს. მესამე პერიოდში სტუმრებმა ორშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს და ძირითადი დროის დასრულებამდე 16 წამით ადრეღა გადაირჩინეს თავი.

**აილენდერსი 0:5 ბუფალო 0:3 0:1 0:1**
0:1 გრეტონი (14), 0:2 რასმუსენი (15), 0:3 დიუმონი (19), 0:4 ბარნსი (38), 0:5 რასმუსენი (47)

**სენტ ლუისი 0:3 მინესოტა 0:1 0:2 0:0**
0:1 ლააქსონენი (2), 0:2 გაბორიკი (22), 0:3 გაბორიკი (34)

ეს დღე მასპინძლებისა რომ არ იყო, უეჭველია — დასავლეთის ერთ-ერთი ფავორიტი აუტსაიდერ მინესოტას ვერ გაუმკლავდა. სტუმართა ლიდერმა მარიან გაბორიკმა კლუბის ისტორიაში პირველმა მიაღწია 20-შაიბიან ზღვარს.

**ჩიკაგო 5:1 რეინჯერსი 1:0 1:0 3:1**
1:0 არნასონი (3), 2:0 სალივანი (39), 3:0 ნიულანდერი (44), 3:1 ლინდროსი (48), 4:1 დაზე (55), 5:1 ბელი (57)

**ფინიქსი 6:1 ვანკუვერი 2:1 3:0 1:0**
1:0 ლეტოვსკი (9), 2:0 რადივოევიჩი (12), 2:1 ბერტუცი (15), 3:1 ნაგი (22), 4:1 ნაგი (30), 5:1 მ. ჯონსონი (40), 6:1 სიმპსონი (51)

მეტოქის განადგურებით ფინიქსელებმა თავიანთი თავკაცი ბობ ფრენსისი ფრიად გაახარეს — იგი კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ 228 მატჩში ფინიქსმა 251 ქულა მოაგროვა.

**სან ხოსე 5:2 ოტავა 0:1 5:0 0:1**
0:1 ალფრედსონი (12), 1:1 სელიანე (22), 2:1 ბრედლი (31), 3:1 ჯილსონი (34), 4:1 გრეიესი (36), 5:1 შტურმი (37), 5:2 ჰოსა (48)

ტეემუ სელიანემ მაინც მიაღწია თავისას. წინა მატჩისგან განსხვავებით, ფინელმა ხელიდან არ გაუშვა შანსი და ლიგის ისტორიაში 69-ე შეიქნა მათ შორის, ვისაც კარიერაში 400 გოლი დაუგროვდა. სელიანემ იმარჯვა და მასპინძლებსაც ხელ-ფეხი გაეხსნათ, მეორე მესამედში კიდევ ოთხჯერ გაიტანეს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS პიტსბურგიდან

ეს ხომ შურისძიებასავით არის: უწინ პიტსბურგელმა, აწ კაროლინელმა რონ ფრენსისმა (მარცხნივ) ყოფილ თავისიანებს სიამოვნებით გაუტანა



# ქველ ადგილას

ფინიქსი ერთგვარად მშობლიური ქალაქიც კია „ნიუ ჯერსი ნეთსის" კალათბურთელ ჯეისონ კიდისთვის — სწორედ იქაურ „სანზში" თამაშისას დაივდო სახელი. ჯეისონი პირველად ჩასულა ამ ქალაქში „ნეთსის" სამოსით და ცოლ-შვილიც წაუყვანია. კიდის ძველი და ახალი გუნდების თამაში მასპინძლებს მოუგიათ 89-87, ჯუმანა კიდს კი ქმრის წილიც უნერვიულია.

# ვარჯიში

მომავალმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ფეხბურთში იაპონიის პოლიციას დამატებითი საქმე გაუჩინა, ბიოქიმიის შესწავლა დააწყებინა. გუშინ ორასმა პოლიციელმა შიზუკოვას „ეკოპას" სტადიონზე რადიაქტიულ ყუმბარათა და საგანთა გაუვნებელყოფის ვარჯიში ჩაატარა.






# ეს საშინელებაა

დიახ, ჩარლზ ბარკლი, ნბა-ს მეამბოხე და ვარსკვლავი კალათბურთს აღარ თამაშობს, მაგრამ კვლავაც ბრაზობს და ბორკილებსაც ძველებურად ამსხვრევს. „შავკანიან ბავშვს წარმატების ერთადერთი შანსი აქვს ცხოვრებაში, სპორტს უნდა მისდიოს. ეს საშინელებაა..." მოგვძახის სერ ჩარლზი „სპორტს ილუსტრეიტედის" ყდიდან.



# მწვრთნელი კინოში

განთქმული მსახიობი ბრაიან დენეჰი განთქმული მწვრთნელის, ბობი ნაიტის როლში: სტუდენტური კალათბურთის დიდი ინდიანელი სპეციალისტის ცხოვრება ტელეფილმის თემად ქცეულა. ფილმს „იესპიენის" არხი იღებს.

# ახლებები

მორჩა და გათავდა. ამიერიდან მიუნხენის ბაიერნის სამოსის გულის ფიცარზე „ოპელი" კი აღარ ეწერება, არამედ „დოიჩე ტელეკომ აგ". გერმანიაში ტელეკომუნიკაციების გოლიათის ერთ-ერთი თავკაცი, რონ ზომერი და მიუნხენელთა ვიცე-თავმჯდომარე კარლ ჰაინც რუმენიგე ამ გარიგებას ხელმოწერით ადასტურებენ. კლუბი 25 მილიონ ევროს მიიღებს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბეხელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დვვაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge